წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. კვირა, 12 ივლისი 1915 წ. № 42

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

დასავლეთ საქართველოს მევენახეთა საზოგადოება

„ალექსანდრეული“

5 ამა ივლისს დაიწყო ღვინით ვაჭრობა რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის და სხვა ღვინოები. ოლღას ქუჩა სახლი № 8.

## დღევანდელ ნომერში 6 გვერდია

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

ახალი კლუბი

ერთი კვირის პროგრამა 13—19 ივლისამდე.

ორშაბათს—ოპერეტა „გეიშა“.

სამშაბათი—სიმფონიური კონცერტი. ს. ი. პრესმანის ლოტბაონობით.

ოთხშაბათი—სინემატოგრაფი. სეირნობის შემდეგ დიდი სიმებიანი ორკესტრი ბაღში

ხუთშაბათი—ქართული წარმოდგენა. თეატრში შესვლა უფასოა.

პარასკევი—სინემატოგრაფი. სეანსის შემდეგ დიდი კონცერტი ბაღში.

შაბათი—სიმფონიური კონცერტი. მონაწილეობას მიიღებს მომღერალი ი. პ. სარაჯიშვილი.

კვირა—საყმაწვილო საღამო-სეირნობა სინემატოგრაფით და სამხედრო ორკესტრით. დიდრონებისთვის გასტროლი გაზალიუსისა.

დასაწყისი სინემატოგრაფებისა საღამოს $8^1/_2$ საათზე, წარმოდგენებისა და კონცერტებისა 9 საათზე, საბავშვო საღამო 5-დან 9 საათამდე. სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

მეურნე — მეურნე

სამშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა № 6) დანიშნულია მომხმარებელი საზოგადოების

მეურნის

დამფუძნებელი კრება. კრების საგნები: 1) მოხსენება ღროებითი გამგეობის თავის მოქმედების შესახებ, 2) მორიგი საკითხები; 3) ახალი წევრების მიღება; 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა.

მეურნე — მეურნე

პირველხარისხოვანი

„კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი 1—6 საათამდე. სადილი 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით რაჟდენ იოხელიანი.

იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი

„კაფე პარიზი“

გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მშვენიერი ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით. სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.

პატივისცემით დ. გიგიბერია.

„ახალი კლუბის“

მამასახლისთა საბჭო

აუწყებს კლუბის წევრთ, რომ რადგანაც 30 ივლისისათვის მოწვეული საგანგებო კრება არ შესდგა, ხელმეორე კრება დანიშნულია ამა ივლისისათვის 12-ს. კლუბის წესდების 29 მუხლის თანახმად განმეორებით დანიშნული საგანგებო კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

სხდომა დაიწყება დილით 11 საათზე.

გამოცდილი მასწავლებელი ქალი

ღებულობს და ამზადებს პირველ და მეორე კლასისთვის ქალ-ვაჟს ყველა საშუალო სასწავლებლისას. აგრეთვე ამზადებს, ხელმისაწვდომ ფასებში, ვისაც განმეორებითი გამოცდა ექნება. შეიძლება სახლში მიწვევაც. მისამართი: კირპიჩნის შესახვევი, სახლი 12, ოთახი 9. 0—8

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოზის ძე

კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. ბჟალუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

ღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

## თბილისი 12 ივლისი.

**საგულისხმიერო წინადადება.**

წარსულ ხუთშაბათს საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებამ დიდის უმრავლესობით დაადგინა— **მიმართოს მეფის მოადგილეს და სახელმწიფო სათათბიროს თხოვნით, რათა ამიერ კავკასიაში დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას 1892 წლის პროექტის ერობა**, ე. ი. იმგვარი ერობა, რომელიც დღეს შემოღებულია რუსეთის გუბერნიებში. მართალია, თვით მომხსენებელი, ბ. ალიბეგოვი 1864 წლის ერობის პროექტს იცავდა და ამტკიცებდა, რომ იგი უფრო პროგრესიულია და რადიკალური ვიდრე 1892 წლისაო, რომელიც რეაქციის ეპოქაში იქნა შემუშავებულიო, მაგრამ უმრავლესობამ ექიმი მ. გედევანიშვილის პირით სამართლიანად უპასუხა: შემცდარია ის აზრი თითქოს ყველაფერი, რაც კი რეაქციის ხანაში დაბადებულა, უსათუოდ და სავსებით რეაქციონური და ჩვენთვის მავნებელი იყოს. პირიქით, ხსენებული პროექტიც ცხოვრების საჭიროებას უპასუხებს და მიუხედავად მისი წარმოშობი რეაქციის ხანისა, პროგრესივობასაც არ არის მოკლებული. და 1892 წლის პროექტს თვისი დადებითი მხარეები აქვს და ჩვენთვისაც სასარგებლო არისო. თანაც ზოგიერთი ცვლილების შეტანაც შეიძლება. ხოლო ამ სახის პროექტი უფრო ადვილი მისაღები იქნება სათათბიროსა და მთავრობისათვის, ვიდრე 1864 წლის პროექტი, რომელიც შიდა რუსეთსაც კი არ ღირსებია“. დიდის ხმის უმრავლესობით კრებამ ზემონახსენები საგულისხმო დადგენილება მიიღო. საჭიროა ქართულმა ორგანიზაციებმაც ხმა ამოიღონ და ასეთივე დადგენილება წარუდგინონ რუსეთის საკანონმდებლო დაწესებულებათ.

— —

კაი ხანია ქართველ საზოგადოებას სამწუხარო ამბავი ეუწყა: ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ინსპექციას, სასკოლო კომიტეტის დაუკითხავად, მასწავლებელთა წრიდან გამოურიცხავს ჩვენი ცნობილი ბელეტრისტი იაკობ ცინცაძე (ია ეკალაძე), ქუთაისის გაზეთ „სამშობლოს“ რედაქტორი. ამ ამბავმა მეტად არასასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ საზოგადოებაზე. „სამშობლოსთან“ ერთად „ახალი კვალიც“ სთხოვდა, ვისაც ჯერ იყო, ამ ინციდენტისათვის ნათელი მოეფინა და ცხად ეყო მიზეზი თუ რამ გამოიწვია ამგვარი, სათანადო გზას გადამცდარი, ღონისძიება. ინსპექცია ჯერ-ჯერობით ხმას არ იღებს და თავის დუმილით თითქოს საგულვებელ ყოფს გაზეთ „სამშობლოს“ მიერ წამოყენებულ ბრალდებას, ვითომც ბ-ნ იაკობ ცინცაძის დათხოვნას სარჩულად ედოს ის უსიამოვნება, რომელიც მას მოსვლია ძმათა ოცხელის მაღაზიასთან, საგაზეთო ქაღალდის გამო. ვსთხოვთ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის ინსპექციას სთქვას თავისი სათქმელი, რათა პრესამ და საზოგადოებამ, ორთავე მხარის მოსმენის შემდეგ, შესძლოს თავისი მართებული მსჯავრი დასდოს ამ სამწუხარო მოვლენას.

# ომის დღიური

## მიმოხილვა

თუ რუსულ გაზეთების ცნობა შესახებ ავსტრო-გერმანელთა ჯარების განაწილებისა მართალია, მაშინ მართალი უნდა იყოს ის აზრიც, რომ მთავარი დაკვრა მინდობილი აქვს ისევ ფელდმარშალ მაკენზენს, რომელსაც 14 კორპუსი ჰყავს ვისლისა და ბუგის შუა. აღმოსავლეთ გალიციაში იბრძვის აგრეთვე ავსტრიელთა 8 კორპუსი, მაშასადამე, სამხრეთის ფრონტზე მოპირდაპირეთ თავი მოუყრიათ ერთ მილიონ მებრძოლისთვის. გარდა ამისა, ვისლის გაღმა დარჩენილია 5 კორპუსამდე, ნარევის ნაპირებზე იბრძვის 7 კორპუსი, ნემანის ნაპირებზე—5 კორპუსი და კოვნო-რიგის პირზე—7 კორპუსი, სულ 24 კორპუსი, ე. ი. ცოტა უფრო მეტი, ვიდრე სამხრეთით, მაგრამ ფრონტის სიგრძეს თუ მივიღებთ მხედველობაში, შედარებით სამხრეთით უფრო მეტი ჯარია გაშლილი, ვიდრე დასავლეთით და ჩრდილოეთით.

თუ მართალია ის ცნობა, რომ გერმანელებმა ახალი 18 კორპუსი შეადგინეს და 6 საფრანგეთიდან დაძმოიყვანეს, ეს ერთი მილიონი სათადარიგო ჯარი ცოტა მოშორებით უნდა იდგეს ბრძოლის ველიდან და საჭირო დროს და საჭირო ადგილზე მიეშველოს. ამ რიგად, რუსეთის წინაამდეგ ამჟამად დაახლოვებით სამი მილიონი მებრძოლი მოდის.

კოვნო-რიგას მიმართულებით მიმავალ გერმანელთა ჯარს დაკისრებული აქვს მხოლოდ დემონსტრაცია, სათადარიგო ჯარების აქეთ მოწევა და პოლიტიკურ-მორალურ შთაბეჭდილების მოხდენა. ამ ფრონტს არა აქვს დიდი სტრატეგიული და გადამწყვეტი მნიშვნელობა. შედარებით ასეთივე უმნიშვნელოა მეორე უკიდურესი წვერი—დნესტრის ფრონტი. გერმანელთა მთელი ძალა და გულისყური მიპყრობილია ჩრდილოეთიდან (ნარევის გზით) სამხრეთით და სამხრეთიდან (ლიუბლინ-ხოლმის გზით) ჩრდილოეთით. მათი მთავარი მიზანი აქ ის არის, რომ ორივე ადგილას გაარღვიონ რუსის ჯარის ჯაჭვი და ერთმანეთს ხელი მისცენ ვისლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმოსავლეთით. თუ გავიხსენებთ, რომ ჩრდილოეთით ლომჟის მიმართულებით და სამხრეთით მდინარე ბუგის ხეობაში მათ შედარებით მცირე ჯარი ჰყავთ, ცხადი ხდება ის აზრი, რომ გერმანელთა მთავარი დაკვრა სამხრეთიდან ძოდის ლიუბლინ-ხოლმის შუა, ხოლო ჩრდილოეთიდან — პულტუსკ-როჟანის შუა. ამის გამო რაიონი მნიშვნელოვან და გადამწყვეტ ბრძოლისა უფრო მცირდება, მოკლდება და რუსის ჯარიც იკუმშება და უფრო მჭიდროდ იყრის თავს ვისლის უფრო მარჯვენა ნაპირზე. მოპირდაპირეც ცდილობს ამ ჯარის წვერებს მოუაროს და რუსის ჯარი ვისლის ნაპირებს მიაკრას. საბოლოო მიზანი ავსტრო-გერმანელებისა რამდენიმე დღეში უნდა გამოირკვეს. შეიძლება მათი იმედი და მიზანი მხოლოდ ვისლის ხელში ჩაგდება იყოს, შეიძლება მათი გეგმა უფრო შორსაც მიდიოდეს და ბელოსტოკ-ბრესტის პირზე გამოსვლა უნდოდეთ.

ცხადია მხოლოდ, რომ ეხლანდელ ბრძოლის მიზანი უბრალო ტერიტორიის შეძენა კი არის, არამედ ერთ-ერთი მოპირდაპირის სრული დამარცხება,

აქ, ვისლისა, ნარევისა და ბუგის ნაპირებზე სწყდება ბედი არა მარტო ამ უმაგალითო ბრძოლისა, არამედ ომისაც.

კოვნო-რიგის მიმართულებით გერმანელთა ჯარი მიტავის დასავლეთით იმყოფება, ხოლო უფრო ქვეით იანიშკი აუღია და ცდილობს სამხრეთ-აღმოსავლეთით წამოწევას. არაფერია ნათქვამი შავლის შესახებ, რომელიც ისევ შეჭრილია ბრძოლის პირში დასავლეთისკენ. შავლის სამხრეთით მოპირდაპირე მოიწევს მდინარე შუშკასკენ, რომელიც მდინარე დუბისას აღმოსავლეთით ჩამოდის და კოვნოს მახლობლად ერთვის ნემანს. ნარევზე ისევ გაშმაგებული ბრძოლა სწარმოებს. ვისლის გაღმა გერმანელებს პირველივე იერიშით გაურღვევიათ ციხე ივანგოროდის მოწინავე მავთულის სიმაგრე, მაგრამ შემდეგ ისევ უკუგდებულ იქნა. აქედან მოყოლებული ლიუბლინ-ხოლმის რკინის გზის სამხრეთით და სოკალის მიდამოებში, მდინარე ბუგის ნაპირებზე მეტად ცხარე და გამწვავებული ბრძოლა გრძელდება. ყველგან სოფლები და გამაგრებული ადგილები ხელი-ხელში გადადის, ბრძოლის სასწორი ქანაობს და საბოლოოდ ჯერ არსაით გადახრილა.

სამ-ოთხ დღეში ეს სასწორი საითმე უნდა გადიხაროს და საბედისწერო ბრძოლაც უნდა გამოირკვეს.

მ. ბ.—ლი.

## დეპეშები

**თბილისი**, 10 ივლისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 8 ივლისს სროლა ძალიან გააძლიერეს ზღვის ნაპირას. ოლთისის მიმართულებით შეტაკება მოუვიდათ ოსმალთა და რუსების მზვერავებს. 7 ივლისს ღამით ოსმალებმა იერიში მიიტანეს გეი-დაგის მთაზე, მაგრამ უკუქცეულ იქნენ. დღისით ოსმალთა ორმა ბატალიონმა კვლავ იერიში მოიტანა გეი-დაგის მთაზე, მაგრამ ხელახლად უკუგდებულ იქნენ. თანაც დიდი ზარალი მოუვიდათ. კოპის რაიონში ბრძოლის განმავლობაში რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს ათი ოფიცერი და ოთხასი ჯარისკაცი. მუშის მიმართულებით რუსები კვალ-და-კვალ სდევნიან ოსმალებს. თანაც სოფელი ახპენისი დაიჭირეს. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი**, 10 ივლისი. ოფიციალი. მთავარსარდლის შტაბისაგან. მიტავის დასავლეთით მდებარე რაიონში დიდ შეტაკებებს ადგილი არა ჰქონია. ტუკუმის შოსეზე სოფელ ხესთან 8 ივლისს ღამე რუსებმა ხელთ იგდეს გერმანელ ველოსიპედისტების კომანდა, ხოლო დაბა კრუკში—ოფიცერთა მზვერავი გუნდი. რა დაბა იანიშკი დაიჭირეს, გერმანელები სამხრეთ აღმოსავლეთით მოიწევიან. როსიენის აღმოსავლეთით გერმანელები მდ. შუშკისკენ მოიწევიან. 9 ივლისს ნარევზე გერმანელებმა მკაცრი იერიში მიიტანეს როჟანის ხიდის ყურის პოზიციაზედ. ამ იერიშის დროს დიდი საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს. ვისლას მარცხენა ნაპირზე გერმანელები ამავე დღეს ივანგოროდის მოწინავე სიმაგრეებს ეკვეთნენ იქ, საცა ვულ-ბახინსკა-გნევაშოვის ფრონტი იყო. გაარღვიეს კიდეც ერთ ადგილას მავთულიანი ჯებირები, მიგრამ რუსებმა კონტრ-იერიში მიიტანეს და გერმანელები უკუაგდეს. თანაც დიდი ზარალი მიაყენეს. მდ. ვისლასა და ბუგს შუა ბრძოლა კვლავინდებურად მიდის. ლიუბლინის მიმართულებისაკენ ავსტრიელები იერიშებით მოდიან ბეჟიცში მიმავალ შარა-გზებით. 8 ივლისს დიდი ზარალი მოუვიდა გერმანელთა ჯარის ცენტრს ხმელ-პიასკ-სუხოდოლ-ოლესიკ-ვოისლავიცე-გრუშემოვის ფრონტზე. რადგანაც წინა დღით გერმანელებმა ვერაფერი მოიგეს ვეპრჟის მარცხენა ნაპირზე დაბა რეიოვეცის მიმართულებით, ამიტომ 9 ივლისს დილით გერმანელებმა იერიშები შეაჩერეს. მაიდან-ოსტროვსკი-ბოისლავიცე-უხანეს ფრონტზე გერმანელებმა დასაწყისშივე რამოდენიმე თხრილი წაართვეს რუსებს და ჩრდილოეთისკენ გამოსწიეს, მაგრამ 8 ივლისს მთელი ღამის ცხარე ბრძოლის შემდეგ, რომელიც ტყით დაბურულ ადგილებში სწარმოებდა, გერმანელები იძულებულნი იყვნენ უკან დაწეულიყვნენ. ზარალი ძალიან დიდი მოუვიდათ. რუსებმა ხელთ იგდეს ექვსი ზარბაზანი და ხუთასი ტყვე. გრუბეშოვის რაიონში გერმანელებმა ბოლოს და ბოლოს წინ წამოიწიეს ჩრდილოეთისკენ. ბუგზე სოფელ ჯართან რუსის ჯარებმა გერმანელები მდინარის გაღმა გადარეკეს. სოკალთან სასტიკი ბრძოლაა. გერმანელებმა საკონტრ-იერიშოდ თავი მოუყარეს დიდ ჯარს სოფელ პოტურჟიცესთან და სოფლის ერთი ნაწილი ის იყო ხელში ჩაიგდეს, მაგრამ შეუბრალებელი ბრძოლის შემდეგ, რომელიც ამ სოფლის ქუჩებში გაიმართა, რუსებმა იგი უკან დაიბრუნეს. სხვათა შორის, რუსებმა აქ ტყვედ წამოიყვანეს ავსტრიელთა მეათე ეგერის ბატალიონის გადარჩენილი ნაწილები თვით ბატალიონის კომანდირითურთ. არტილერიის წყალობით რუსებმა დიდი ზარალი მიაყენეს გერმანელთა მრავალრიცხოვან სათადარიგო ჯარებს, რომლებიც ზავიშნის მაღლობიდან დაეშვენ. ამის შემდეგ გერმანელებმა ხელი აიღეს მდინარე ბუგის ხეობა გადმოევლოთ და ამრიგად გერმანელებმა ჯარი ვერ მიაშველეს თავისიანებს, რომლებზედაც რუსებმა ადრე იერიში მიიტანეს. ბრძოლა სწარმოებს. 8 ივლისს დღისით გერმანელებმა იერიში მიიტანეს და დაიჭირეს კიდეც სოფელი დობროტვორი, მაგრამ რუსებმა იმავ დღეს საღამოთი ისინი ამ სოფლიდან გამორეკეს: თანაც რუსებმა რამოდენიმე ტყვეც წამოიყვანეს. დანარჩენ ადგილებში ცვლილება არ მომხდარა.

**ნიუ-იორკი**, 9 ივლისი. როკფელერის ნავთის კომპანიის გაფიცულები კომპანიის ადგილობრივ განყოფილებას თავს დაესხნენ. მცველებმა რევოლვერებით დასჭრეს 3 გაფიცული, მაგრამ დემონსტრაცია მაინც გრძელდებოდა. სულ დაიჭრა 50 კაცი. მათ შორის პოლიციელნი და გაფიცულები.

**პარიზი**, 9 ივლისი. დილის ოფიციალი ცნობა. ღამე შედარებითი სიწყნარე იყო. საარტილერიო ბრძოლა იყო არტუაში, არგონებში, მაასის და მოზელის შუა და აპრემონის ტყეში. გალიპოლის ნახევარ კუნძულზე 29 და 30 ივლისიდან სიწყნარეა.

**რომი**, 10 ივლისი. მთავარი შტაბი იუწყება 9 ივლისს: ტიროლ-ტრენტინის ოლქში და კარნიაში ცვლილება არ მომხდარა. მდინარე იზონცოს ფრონტზე ჩვენი შეტევა გრძელდება.

**ლონდონი**, 10 ივლისი. დარდანელიდან ოფიციალი ცნობა: 5 ივლისს ოსმალებმა განაახლეს იერიშის მოტანა ფრანგების წინაამდეგ, მაგრამ უკუგდებულ იქნენ. ბრიტანიის ჯარი განაგრძობს წინ წაწევას და თან ამაგრებს იმ პოზიციებს, რომლებიც ოსმალებს წაართვა 23 და 30 ივნისს.

**პეტროგრადი**, 9 ივლისი. მთავარსასურსათო კომიტეტი განსაკუთრებულ კრებაზე გაირჩა საკითხი იმის შესახებ, რომ 15 ივლისიდან ნება მიეცეს მიუხედავად რიგისა, გადატანილ იქნას ის საქონელი, რომელიც ქალაქებსა და ერობათ ეგზავნებათ. დაადგინეს, რომ გუბერნატორებსაც შეეძლოთ ისარგებლონ ამ წესით და მიეცეთ უფლება საჭირო საქონლის მოთხოვნისა და ვაგონების მიღებისა.

**ისპაანი**, 10 ივლ. თოფების სროლით და ურას ძახილით ხელახლა ჩამოვიდა ავსტრიელთა რაზმი. ისინი შეუერთდნენ იქ მყოფ გერმანელებს და მათ საელჩოს ახლო მდებარე სახლზე აღმართეს ავსტრიის ბაირაღი. მიდამოებში აღმოაჩინეს იარაღის საწყობები.

**ლონდონი**, 9 ივლ. სამხრეთ უელსში ყველა მაღაროებში მუშაობა განახლდა.

**პეტროგრადი**, 9 ივლ. მომავალ სასწავლო წლიდან განათლების მინისტრმა ნება დართო სუყველა უნივერსიტეტებში და უმაღლეს სასწავლებელში უეგზამენოდ მიიღონ ნამდვილ სტუდენტად სასულიერო სემინარიებში IV—VI კლას დამთავრებული ახალგაზდები.

**ბუქარესტი**, 10 ივლისი. რუმინიის მთავრობამ მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, გერმანიაში 200 ვაგონი ქვანახშირი და რამდენიმე ვაგონი შაქარი იყიდა, რომელსაც აგვისტოს მოელიან.

**ჟიტომირი**, 10 ივლისი. გაჩხრეკის შემდეგ ლუქი დაარტყეს და დაკეტეს ზინგერის მაღაზიები და საწყობი.

**კიევი**, ლუქი დაარტყეს და დაკეტეს ზინგერის თერთმეტი მაღაზია და კანტორა.

**ქრისტიანია**, 8 ივლისი. ნორვეგიის ელჩს ლონდონში ნოტა გადასცა ინგლისის გარეშე საქმეთა მინისტრმა. ეს ნოტა პასუხი იყო იმ ნოტისა, რომელიც, ნეიტრალობის დარღვევის გამო ნორვეგიის ელჩმა ინგლისის მთავრობას წარუდგინა. ინგლისის საპასუხო ნოტაში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობა სწუხს ყოველ იმ შემთხვევის გამო, როდესაც ინგლისის გემები დაარღვევენ ნორვეგიის წყალთა ნეიტრალურ ზონას. როდესაც ნორვეგია აღნიშნავდა ინგლისის გემების მიერ მის ნეიტრალურ ზონის გადალახვას, ინგლისის საადმირალო შესაფერ ინსტრუქციებს გამოსცემდა. მაგრამ მეტის-მეტი საძნელოა და დიდად გვინდოდა ჩრდილო-ზღვაში მყოფ მოდარაჯე გემებთან ურთიერთობის დაჭერაო. აქამდის პასუხი მოვიდა მხოლოდ გემ „პალასი“-ს შესახებ, რომელიც ნორვეგიის წყლებში უთუოდ დაჭერილი უნდა იყოს. მინისტრი გამოსთქვამს მწუხარებას რაც მოხდა იმის გამო და აცხადებს, რომ მან სთხოვა საადმირალოს შესაფერი ბრძანება გამოსცეს, რომ დაცულ იქნას ნორვეგიის წყლების ხელშეუხლებლობა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### გერმანელები ფლანდრიაში.

აღმოსავლეთ ფლანდრიაში გერმანელებმა მუშაობა ძალიან გააცხოველეს. ყველა მდინარეზე მასიური ხიდები გამართეს. მრავალი სანგარი ააგეს, საცა ამას სტრატეგიული საჭიროება მოითხოვდა. ათიათასობით ჩამოსული ახალ გაწვეულები ადგილის გასაცნობად მთელი დღე სიარულში არიან. გერმანელთა ჯარის ახალ-ახალი კადრები ფლანდრიისაკენ განუწყვეტლივ მოეშურებიან.

### გერმანელები მუშებს აგროვებენ.

პოლონეთში, საცა დღეს გერმანელები დგანან, დიდი აგიტაცია მიდის გერმანიისათვის მუშა ხალხის შესაგროვებლად. ყოველ ქალაქში შუამავლობის ოფიციალი ბიუროებია გახსნილი. სამუშაოს მძებნელს შეუძლია ამ ბიუროთა საშუალებით გაიგოს, თუ პრუსიის რომელ ნაწილში შეიძლება სამუშაოს შოვნა. ამ ბიუროთა ცენტრალი გამგებლობა ბერლინში იმყოფება და ეს გამგებლობა გზავნის საჭიროების მიხედვით, სხვა და სხვა ქალაქში პოლონეთიდან ჩამოსულ მუშებს.

### გერმანელებისაგან წამოღებული ალაფი.

რა დღესაც გერმანელები ბელგიაში შევიდნენ, იმავ დღესვე მათ ბელგიდან გამოუტანიათ 40000 ტონა ხორბალი (ტონა უდრის 63 ფუთს), 15,000 ტონა სიმინდი, 48,000 ტონა ქერი, 1,000,000 თუმნის ტილო, 200,000 თუმნის საკვები მასალა, 120,000 თუმნის კარაქი, 240,000 თუმნის მატყლი, 400,000 თუმნის რკინა, 800,000 თუმნის სპილენძი, 80,000 თუმნის ბრინჯი. ამის გარდა გამოუტანიათ აუარებელი ხე-ტყე, ბამბა და 1.200,000 თუმნის ტყავი.

### გერმანელ სოციალ-დემოკრატების მანიფესტი.

გერმანელ სოციალდემოკრატების პარტიის კომიტეტმა ამ რამდენიმე დღის წინად მანიფესტი გამოაქვეყნა, სადაც მოუწოდებს პარტიის წევრებს რათაც უნდა ღირდეს, ერთობა და კავშირი დაიცვან. მანიფესტი გამოწვეულია იმ ანონიმურ მოწოდებით, რომელიც გერმანელ სოციალ-დემოკრატებს ურჩევდა „შინაურ მშვიდობიანობის“ პოლიტიკა უარჰყონ და შეუდგნენ მთავრობის წინაამდეგ ბრძოლას. მანიფესტი უპასუხებს ამ ანონიმურ მოწოდებას და ამტკიცებს, რომ დღეს სოციალ-დემოკრ. არ შეუძლიან ოპოზიცია. პარტიის მოვალეობას ისინი ომის შემდეგ აღადგენენ, მაგრამ ამ ჟამად შეუძლებლად მიაჩნიათ რამე სერიოზული ნაბიჯის გადადგმა. პარტია აცხადებს, რომ გერმანიის ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულების უზრუნველყოფა საუკეთესო პირობაა მომავალში კლასთა ბრძოლის გასაგრძელებლად და რომ გერმანელ სოციალ-დემოკრატებმა ყოველნაირად ხელი უნდა შეუწყონ გერმანიას დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. ომის შემდეგ სოც. დემ. ბევრი მოვალეობა აწევს და სწორედ ამისათვის პარტიამ ყოველი ღონე უნდა იხმაროს ერთობის შესანარჩუნებლად. რეიხსტაგის მაისის სესიაში მათი მოქმედება რომ გაამართლონ, ისინი იტალიის გამოსვლით ხელმძღვანელობენ.

„ეს ახალი მუქარა იყო, იტალიის დაპყრობითი პოლიტიკით გამოწვეულიო“, —ლაპარაკობნენ ისინი. გერმანელ სოციალ-დემოკრატებს უნდა დაედასტურებინათ ის ლოიალობა, რომელიც ომის დაწყებისას გამოაცხადეს. ცენტრალი კომიტეტი და საპარლამენტო ბიურო აღიარებს, რომ ის მთავრობას მხარს უჭერდა ცენზურის და სხვა ამისთანა კითხვებში. იმ ბრალდებაზე, რომ გერმანელი სოც.-დემ. პროტესტს არ უცხადებდა გერმანიის პოლიტიკას და იმ რეპრესიებს, რომლებსაც ის მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა მშვიდობიან მცხოვრებთადმი ხმარობდა, მანიფესტის ავტორები უპასუხებენ: ასე იმიტომ ვიქცეოდით, რომ გერმანიას დიდი საფრთხე მოელოდა და მოელის. უსამართლო და თანაც შეუსაბამო იქნებოდა,—აცხადებენ ისინი,—რომ გერმანელ სოციალ-დემოკრატიას დაეგმო მხოლოდ გერმანიის მიერ ნახმარი საომარი საშუალებებიო.

## ბ ა ს ი

### მოვლა-პატრონობა მამულისა.

XII

მაშ უნდა დაიღუპოს საქობო? მაშ ხელიდან უნდა წაუვიდეს საქართველოს ერთს კუთხეს ეროვნული ქონება, ნახევარ მილიონად ღირებული? მაშ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სოფელი ისე დაძაბუნდა, ისე დაკნინდა, რომ გონიერება აღარ ჰსუფევს და გონიერნი გაჰქრნენ, ვითარცა ჰქრება კვამლი ჰაერში?

ჩვენ არა გვჯერა, ესა. გვრწამს და გვჯერა, რომ საქობოშიც მოიპოვებიან გონიერნი და ესენი იზრუნავენ სოფლისათვის და თავის - თავისთვისაც. რაც იყო,—იყო. ძველს ნუღარ გამოეკიდებიან ესენი და ისე იმოქმედონ, ვითომც ახლად იწყობენ საქმეს. გზა ხსნისა ერთად ერთია,-—ეს გახლავთ გაყიდვა ტყისა ნარდად იმ აუცილებელ პირობით, რომ ვალი მოიშოროს სოფელმა, რომ მამული დარჩეს სოფელს მუქთად და თუ მეტსაც რამეს დააძრობენ ტყის მოიჯარადრეს, უფრო კარგი. მეტი ქონება ვის გადაუყრია. აუარებელია სოფლის საჭიროება და მეტი ქონება მას მოხმარდება.

სიძნელე საქმისა იმაშია, რომ სოფელი ეეღარ ადგენს ფორმის მხრივ კანონიერ განაჩენს. რაკი სოფელი აიმღვრა, რაკი გარეშენი ჩაერივნენ საქმეში, გაჩნდა დას-დასობა. ერთი რომ ალთას გარბის, მეორე ბალთას მიიწევს. ხან ერთი დასი სძლევს, ხან მეორე. ყრილობაზე ცარიელი ყვირილი და ღრიანცელია. ასეთს პირობებში ვერა ხერხდება კანონიერ განაჩენის შედგენა და ხელის მოწერა ოჯახის უფროსთა ორის მესამედის მიერ. ამ ზაფხულს ხომ ყოვლად შეუძლებელია ყრილობის შეკრება. ხალხი სამუშაოდ გავა შორეულ მინდვრებში და ვიდრე კალოსა და როველს არ მორჩება, შინ ვერ დაბრუნდება. ამასობაში ხომ ზამთარიც მოვა.

სწორედ ბედზედ მოესწრო საქობოს ახალი საგლეხო კანონი 26 ივნისისა. ამ კანონის ძალით მომავალ წლის პირველ იანვრიდან საქობოშიაც იმოქმედებს ახალი წესი ყრილობის შეკრებისა. ძველის წესით განაჩენის კანონიერობისათვის საჭირო იყო ორი მესამედი კამერალიაში ჩაწერილ ოჯახთა რიცხვისა. თუ საქობოში კამერალიით ითვლება ვსთქვათ, 600 კომლი, კრებას უნდა დასწრებოდა 401 კომლის წარმომადგენელი მაინც. ახალი კანონი დიდად გააადვილებს კანონიერ ყრილობის შეკრებას. რვაასი კომლიც რომ იყვეს დღეს საქობოში, ყრილობისთვის აირჩევენ მაინც მხოლოდ 40 კაცს. მათი შეკრება სულ ადვილია. ორი მესამედი ორმოცისა იქნება 27 კაცი. შეკრებაც ადვილია 27 კაცისა და განსჯაც საქმისა.

ჩვენი რჩევაც ესაა. რადგან წრეულობით ვეღარას გახდებიან, მოითმინონ მერმისამდის, დაუცადონ ახალ კანონს და გამოიყენონ მისი სიკეთე. საჭიროა მხოლოდ ეხლავე გაიჭირვონ და მიართვან საგლეხო ბანკს მისი ხვედრი. ბანკთან ხუმრობა არ შეიძლება.

სოფელში დაბადებულ სიმწვავის დამება-დაცხრომისთვის ვალდებულია იზრუნოს ადგილობრივმა მომრიგებელმა შუაკაცმა. მარტო განაჩენების კვლევაძიება საქმეს ვერ გამოასწორებს. საჭიროა აგრეთვე მოშორება მათი, ვინც ამ საქმეს აეტმასნა გარედან და სიკეთის მაგიერ ვნება მოაქვს სოფლისთვის, იქნება უნებურადაც.

26 ივნისის კანონი დიდ იარაღს აძლევს მომრიგებელ შუაკაცს გამარჯვებით დაამთავროს ეს საშვილიშვილო საქმე.

მაშ იმედი ვიქონიოთ, რომ საქობო არ დაგვეღუპება.

ა.—ლი.



გერმანელთა ჰაეროპლანები და წყალქვეშა ნავები გამაგრებულ კუნძულ ჰელჰოლანდის მიდამოებში.



მტრის ჰაეროპლანს ზარბაზანს უშენენ.



ქალაქი ვარშავა.

1) სასახლე თ-დ რადზივილისა; 2) მეფე სტანისლავის სასახლის ერთი კუთხე; 3) მე-17 საუკუნის შენობა; 4) თ-დ ლიუბომირსკის სასახლე; 5) ძეგლი მეფის იან სობესკისა; 6) სასახლე ვილიანოვოში.



გერმანელები დახოცილ ინგლისელ ჯარისკაცთა გვამებს საფრად იყენებენ და იერიშით მიდიან.

## გზა და გზა

### ახირებული თავაზიანობა.

ყველა კარგი, მაგრამ მეგობარი მაინც წნორის წყლისკენ მეწეოდა, ნუღარ დავგვიანდებითო. მოსაღამოვდა. სიცხემ იკლო. გამოველით. ვაქირში ეტლი ვერ ვიშოვნეთ. გარეთა უბანში ვუცადეთ ცხენი მაინც გვეშოვნა, მაგრამ ისიც არსადა სჩანდა. მაგრამ ხერხი სჯობია ღონესაო, ნათქვამია. ჩემი მეგობარიც ფრიად ხერხიანი გამოდგა და ახირებული თავაზიანობაც გამოიჩინა.

— იცი რა,—მეუბნება,—მოდი, ვირიკებით წავიდეს..

— როგორ თუ ვირეკებით?

— ისე რაღა, კოხტა ვირებით.

გამეცინა. ვფიქრობდი, ალბად მეხუმრებამეთქი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ის არ იშლიდა:

— ჰო და რა, აბა სცადე, ვირით სეირნობას და მგზავრობას არაფერი სჯობია.

ისეთი ეშხით მოჰყვა ვირუკებით მოგზაურობის ამბავს, რომ კინაღამ შემაცდინა. მართლაც, რა არის საკვირველი, სიღნაღი „ვირუკეებითაა“ განთქმული, აქ მთიანი ადგილია, იგია უჩმის მაგიერი, ეტლიც და ყოველისფერი. თუ ქართლში ვირზე შეჯდომა სირცხვილია, აქ ბუნებრივიცაა და აუცილებელიც. შესაძლებელია, ამ აუცილებლობამ ისე დაახელოვნა აქაურები ვირების წვრთნაში, რომ ახლა ავტომობილიც კი გააფორის მეთქი. მაგრამ სწორედ ამ დროს პატარა ბიჭებმა გამოიარეს. ვირებს მოაჩაკჩაკებდენ და თან სახრეს უთუთქვიდნენ:

— აცე ვირო, აცე, შე...

სურათმა გუნება შემიცვალა და ისევ ისე დავიჟინე:

— თავი დამანებე, ძამია, შენი ვირით ვერ მომხიბლავ.

— ვითომ და რატომ?

— რა ვიცი რატომ, შენ კახელი ხარ შეჩვეული, მე ქართლელი. ხომ იცი ტრადიცია ბევრს რამეს ნიშნავს. ქართლელებს ვირზე სულ სხვა დროს და სხვა გარემოებაში შეჰსვამდნენ ხოლმე. მე კი, როგორც ქართლელს საქმე ჯერ ისე არ გამხდომია, რომ ვირზე, უკაცრავად, შენს კოხტა ვირუკაზე ჩემი ნებითვე შევჯდე.

ქართლელის ტრადიციას ვერ ვუღალატე. მე ჩემი და იმან თავისი, მაგრამ მაინც ვერას გაჰხდა. რას იზამდა, ერთი კი მითხრა, რაც მოგივა დავითაო, ისევ შენი თავითაო, ან რამე დაგემართოს, მე ნუ დამაბრალებო. მეც პირობაზე ხელი მოვუწერე და კვლავ გზას გავუდექით.

არ ვიცი, არ გამომიკვლევია რამდენად მართალი იყო მეგობარი, როდესაც მარწმუნებდა ვირუკებით მგზავრობა ფრიად სასიამოვნო რამ არისო, მაგრამ ფეხით რო მართლა შესანიშნავი რამ ყოფილა, ამას ფიცი აღარ სჭირია. ერთი ბეწოთაც არ მინანია, რო მეგობარს არ დავუჯერე. ბაკურციხიდან რაც ეტლმა ვაქირამდე დამანჯღრია, ეხლა ფეხით სიარულმა ამინაზღაურა. მართლაც, მშვენიერება რამ არის გაშლილ ველად სეირნი-მგზავრობა. ვაქირიდან წნორის წყლამდე ფერდობიდან უნდა გაშლილ ველზე დაეშვათ, გზა ფართო ბუჩქნარითაა დაფენილი, მის იქით ალაზნის ველი ყანებით, ვენახებით, ატეხილი ჭალებით. დიდებულ პანორამად იშლება გაღმითა მხარე კაბალის მიდამო. მიდიხართ, სტკბებით ბუნების სილამაზით, მისი სიუხვით, თავაზიანი პატიჟით. ყოყოველისფერი გხიბლავთ, ყოველისფერი გიხმობთ საიდუმლო ძალთა ფერხულში. ერთად ერთი აქაურ ბულბულთა სახელოვანი და ფრიად დამატყვევებელი მაჟორით ნაგალობევი ჰანგი,—ვირუკათა ორკესტრზე მოგახსენებთ,—ვერაფერ მოძახილს წარმოადგენს ბუნების მიერ შექმნილ სიმფონიაში, მაგრამ რას ნიშნავს დისონანსი ღვთიურ ბუნების გალობასთან, რომელიც სულით მაშვრალს გტაცებთ სევდის ღრუბელს, გავიწყებთ თვით არაადამიანურ დღევანდელ გლეჯა-ფლეთას იქ, ბრძოლის ველზე და თავისთან ერთად გასაუბრებთ შემოქმედ ძალის სიმშვენიერეზე, ვით დიდი მოძღვრის ნაქადაგევ უტოპიურ ქვეყნის სამოთხის წალკოტზე და აღმოცენილ თეთრ ყვავილზე, რასაც მეტად ძომხიბლელ სახელს უწოდებენ: სიყვარულს...

გზად ჩემი მეგობარი სხვა და სხვა წერტილზე მაჩერებდა. ხანგრძლივ შევჩერდით ერთგან—ბინოკლით გაღმა მხარისკენ გამახედა.

— ჰხედავ იმ სოფელს?

დავაკვირდი. ბინოკლი ჰფანტავდა ბუნდოვნობას.

— ჰო, ვხედავ.

— ეგ ლაგოდეხია. მაგის გასწვრივ ამ ათ წელში გააშენეს რუსის სოფლები, როგორც მაგალითად, ილარიონოვკა, დაშკოვკა, ვორონცოვკა, ალექსეევკა და სხვა. წინად მანდ უმშვენიერესი ტყე იყო. გადმოსახლებულთ დაურიგეს ეს უკვდავება მოცული, ყოველისფრით შეუწყვეს ხელი, რომ ტყე გაეკაფნათ როგორც საკუთრება, მასალას თან იხმარებდნენ, თან ჰყიდდნენ. ერთი სიტყვით, არაფრიდან არაფრის მქონე რუსი მუჟიკები დღეს მემამულეები გახდნენ, გამდიდრდნენ. ეხლა ეგ სოფლები ჰბატონობენ ყველაზე. ვის შეუძლიან ერთი სული საქონელიც არის გადაეპაროს მათ საძოვარზე, მაშინვე დაჰკლავენ. ხშირია კვლა, ჩხუბი...

კიდევ ბევრი რამ მიამბო,

ამ ლაპარაკით კიდეც ჩავედით წნორის წყალზე. დანიშნულ ადგილას გავეშურეთ. მიკვირდა, სოფელი რომ არსად სჩანდა. ეს გახლავთ ვაკე მინდვრებით შემორტყმული რკინის გზის სადგური. ადგილ-ადგილ ჭაობებია. ფეხის გადადგმაზე კოღოთა გუნდი ზუზუნით გიწევთ ელჩობასა, თვალის გადავლებით შეატყობთ, რომ მთელი ეს მიდამო მალარიის ბუდე უნდა იყვეს.

ჩვენი ახალი მასპინძელი დამკლავებული დაგვხვდა. ხელში უშველებელი შუბიანი ჯოხი ეჭირა. დიდად გაიხარა ჩვენი მისვლა. როცა მიზეზი ვკითხეთ ძისი საომრად გამზადებისა, მან სიცილით გვიპასუხა:

— მართლაც ვილჰელმისავით ვომიანობ, ამდენ გველებს ველარ ავდივარ. აგერ ეს არის უშველებელი გველხოკორა მოვკალი. მართალია, ეს შხამიანი გველი არ არის, მაგრამ რაკი მათი მოგვარეა, აღარ ვარჩევ, ყველასა ვხოცავ. მიუხედავად ამისა, ჩემი ეზო მაინც მათ საბუდრად გადაქცეულა და არც ვიცი, როდის მოვუღებ ბოლოს...

შინ შეპატიჟების შემდეგ პროზა პოეზიად შეიცვალა. სიმხიარულე. აქეთურიიქითური. თურმე ნუ ბრძანებთ, ისიც ჩვენსკენ აპირებდა სალამოთი გამომგზავრებას. ეტლის მოლოდინში იყო. მართლაც, ნახევარ საათს არ გაევლო, რომ ეტლიც მოვიდა. გაგვიხარდა, აღარც დაგვიყოვნებია. ჩავსხედით. მზე უკვე

# ივერიკო

დრამა ხუთ მოქმედებად *)

**სანდრო შანშიაშვილისა**

**მოქმედება მესამე.**

### VIII იგინივე, იმეროს გარდა.

**ივერიკო.** (ღრმა და ყრუ კვნესა აღმოჰხდება).
ახ!! ქართლო, ქართლო! მოხვალ ჩემთან და რას იხილავ?
იქნებ გგონია, გამარჯვებულს მოგეგებები
და სიხარულით გაგიღიმებ ო, ჩემო ქართლო?—
(ტირილით) ძმებს განეშორე, მხარი მიეც დამღუპველს მტერსა.
ო, მზეო, მზეო! სანუკველო ჩემო ღვთაებავ!
შენი ასული მიჯნურებმა გულში დაჰკოდეს
და გადმომხედე მკვნესარესა, მზეო ზენაო!
(ისმის მსხვრევის ხმა).

**ერთი ამალთაგანი.** ჩვენი სამსხვერპლო, დედოფალო, თვისით დაიმსხვრა!

**ივერიკო.** (სასომიხდილი სამეფო ტახტს დაეყრდნობა, მაგრამ ტახტი ხელის შეხებით დაინგრევა).
სამსხვერპლო ჩემი დაიმსხვრა და ტახტიც დამენგრა!
ველარ იმაგრებს ნიადაგი, ვაიმე ბედკრულს!
(ზოგი ქალები ირგვლივ შემოეხვევიან და მასთან ჩუმად სტირიან).

**გამდელი.** (რომელიც სხვა ამალის ქალებთან სარკმლიდან გარედ იყურება).
უიმე, შვილო! ჯარი მოდგა აურაცხველი!

**ერთი ქალი.** აგერ, უყურეთ! დობილებო, ის ხომ ქართლოა!?

**მეორე.** ის არის სწორედ!

**მესამე.** კახოსა და იმეროს ებრძვის!

**გამდელი.** უი, ჩემს თვალებს! გარეშე მტერს მართლა გზას უკვლევს!

(* „საქართველო“ №№ 13, 19, 25, 31, 36.

**პირველი.** კახომ მტრის ჯარი შეაყენა!

**მეორე.** ფარი გაუტყდა!

**მესამე.** ირგვლივ მებრძოლნი დაუხოცეს — —

**გამდელი.** (შეჰკივლებს და ფარდას უცბად დაჰხურავს. მცირე ხნის შემდეგ ივერიკოსკენ გამოეშურება).
ნუ შეჰშინდები,
ჩემო სინათლევ!

**ამალა.** (ივერიკოს ირგვლივ თავს იყრის).
დედოფალო, ტყვედ შეგვიპყრობენ!

**ივერიკო.** სულე, დამშვიდდით, ჩემო კარგნო!

**გამდელი.** რას სტირით ქალნო!?
სირცხვილი არის დედოფლის წინ ცრემლებსა ჰღვრიდეთ!
მოჰყევთ მაგალითს!
(კედლიდან ხმალს ჩამოიღებს).
დავუმტკიცოთ, რომ დედოფლისთვის
ჩვენ კაბოსნებსაც შეგვიძლიან მედგარი ბრძოლა!
აბა, თამამად, დიდებისთვის თავი გავწიროთ!
(ამოღებულ ხმლით კარებში ჩადგება. სხვებიც მის მაგალითს მისდევენ).

### IX იგინივე. ჯარისკაცნი, ქართლო, შემდეგ ლომარაინდი ჯარით და ვეზირებით.

**ერთი ჯარისკაცი.** აქა ყოფილან!

**მეორე ჯარისკაცი.** შეამტვრიე!

**გამდელი.** (ძალით შემოჭრილ ორ უცხო ჯარისკაცს კარებთანვე დაამხობს).
ჰე, თქვე პირშავნო!
(თანდათან აუარებელი ჯარი მოაწყდება კარებს. გამდელი და რამდენიმე ასული მხნე ბრძოლის შემდეგ ივერიკოსკენ იხევენ. შემოდის ქართლო).

**ქართლო.** (მებრძოლთ).
ჩააგეთ ხმლები!
(ივერიკოს მუხლს მოუყრის. ივერიკო სდგას გაფითრებული, დამუნჯებული, თვალები ზეცად აქვს აყრდნობილი. შემოდიან ხმალ ამოღებული ლომარაინდის ჯარისკაცები და ორივე მხარეს წრეს ჩაავლებენ. შემდეგ შემოდის ლიმარაინდი)

**ლომარაინდი.** (გამარჯვებით დამტკბარი ყველას ამაყად გადაავლებს თვალს).
შენი სამშობლო, შენი ერი დაპყრობილია!
(დიდი სუჩუმე).
შენ შენი ნებით არ ისურვე ხლება ჩემს კართან
და ეხლა ძალით გაიძულებ!—სად გაიხიზნენ
ამის ერთგულნი? მის წინაშე რად ვერა ვხედავ?

**ვეზირი.** ტყვედ შეპყრობილნი ჩავაბარე გარედ ჩვენს მცველებს!

**ლომარაინდი.** ქართლოს მოჰგვარეთ თავი, ძმები, ფერხწინ დაუმხეთ
და, დაე, დასტკბეს მოერთგულე მათის დამხობით!—
ქალებს უყურეთ, როგორ ხმლები მოუმარჯვნიათ?
განა მაგათის იმედით მე მიმკლავდებოდი
და მე უძლეველს მიბედავდი ესრეთს ურჩობას?
(გვამებზე გადმოაბიჯებს).
ეს დახოცილნი გაიტანეთ! განთქმულ დედოფალს
სულს შეუწუხებს მკვდრების სუნი — —

### X იგინივე და შებორკილნი კახო და იმერო.

(გვამები გააქვთ. ლომარაინდი მძიმედ უახლოვდება ივერიკოს და დიდხანს უმზერს. ამ დროს შემოჰყავთ შებორკილი კახო და იმერო, სახე და ხელები გასისხლიანებული აქვთ და ქართლოს წინ მუხლებზე დაამხობენ).
ახლა რას იტყვი?
კვლავ უარს იტყვი ჩემს ნებაზე, თამამო ქალო?
(მიდის და თვალებში აცქერდება დამცინვის სახით ივერიკო პატარა დანას უცბად დასარტყმელად აიმაღლებს, მაგრამ ლომარაინდიც უცბად ხელს ხელში სტაცებს და მძიმე-მძიმედ დაბლა აშვებინებს; თვალებში დამცინავი ღიმილით ჩასცქერის და დანას ართმევს).
ეგრე ლამაზი არ ყოფილხარ, როგორც ეხლა ხარ,



თანამედროვე ჯავშნოსნის ზარბაზანი. მოსჩანს მხოლოდ ნაწილი ლულისა.



ქ. რიგა. მდინარე დვინის ქუჩა.



გერმანელთა 42 სანტიმეტრიან ზარბაზნის ყუმბარა, რომლის სიგრძე ორ არშინს აღემატება.

იწურებოდა. გზად სიმღერა შემოვძახეთ. მეეტლეც გადაკრულში გახლდათ. ფოხე,—ასე უძახდნენ მეტ სახელად,—სულ სიხარულით ჰფრენდა, ქართველი ბიჭები მყვანან მგზავრებადაო და ცხენებს აქეზებდა:

— აბა, ბიჭიკო, გასწი. გაფრინდა, ჯორია, გაფრინდა...

ეტლიც მიჰფრენდა. ჩვენს სიმღერას სალამოს ნიავი ცივის კალთებთან ცულლუტ სახით იმეორებდა.

**ახტალა.**

დილის ხუთი საათი არ იყო, როცა მასპინძელმა გამომაღვიძა:

— აბა, ჩვენს მარშრუტს დაჰხედე, ახლა საით უნდა გავუტიოთ?

მარშრუტი სიღნაღს აჩვენებდა, მაგრამ იქ წასვლა საკვირაოდ გადავდეთ.

— კვირაობით ხალხის მოძრაობაც დიდია და ნაცნობნიც ადვილად გვისტუმრებენ. ეხლა ახტალაზე წავიდეთ, ვნახოთ ჩვენი სამკურნალო შადრევნები.

საზოგადოდ ჩვენ ექსპრომტით სიარულს შევეჩვიეთ. თქმა და გადაწყვეტა ერთი იყო. დიასახლისს არც კი მოვუცადეთ ჩაი დაელევინებინა, ავდექით და რკინის გზისაკენ დავეშვით. ბედზე ორთქლმავალი შეგვხვდა. გურჯაანამდინ ამითი ავედით.

სადგური სოფლიდან, როგორც ყოველგან, აქაც კარგა მანძილზეა დაშორებული. საოცარია, თითქოს შეჯიბრებულან, ერთმანეთს კონკურენცია არ გაუწიოთო, არც ერთი სოფელი არ დაუახლოვებიათ სადგურთან.

გურჯაანში გასვლა დაგვეზარა. რაკი მარშრუტზე ახტალა იყო მოხაზული, ჩვენც არც ვაციეთ, არც ვაცხელეთ და პირდაპირ მისკენ გავწიეთ

სადგურიდან ახტალა სულ ახლოა. ათიოდე წუთიც საკმარისია. ბეგიდან რომ გადავხედე, წარმოდგენით უფრო მეტს მოველოდი. ახტალა პირდაპირ ტალახის ანუ ლაფის გუბეს მოგაგონებთ. ასეთი გუბე ხუთი-ექვსია, მაგრამ საკმარისია ბარი დაარტყათ, რომ ყოველგან შადრევანმა ამოჰხეთქოს. გუბი რამდენიმე ადგილას სდუღს, ბუყბუყებს, თითქოს საარაყე ქვაბი ყოფილიყოს. ზემოდან მტუტე ქაფი აქვს მოგდებული. შეხედულობა მთელ ამ მიდამოს ვულკანის კრატერისებური აქვს. ყოველგან ნაცრის ფერი სილაა გაშლილი. კრატერის მოყვანილობა და რკალულ პლასტების ნაკეცი ჰმოწმობს, რომ ამ მიდამოში ნაშთიც არის. ამ უშველებელ ქვაბის მეორე მხარე კალთაზე სხვა გუბეებია, სადაც ქალები ბანაობენ. სამკურნალო წყაროები და ასე პრიმიტიული მდგომარეობა განცვიფრებაში მოიყვანს ადამიანს. ქოხი რა არის, ისიც კი ვერ შესძლებიათ ამათ პატრონებს, რომ სადმე წამოჰკუხონ უბრალო თავშესაფარი. ერთად-ერთი გლეხკაცია, რომელსაც მოშორებით ხის ნედლი შტოებით პატარა ჩრდილო გაუკეთებია, სადაც შეგეძლებათ მთუთქავ მზისაგან თავი იხსნათ და შეისვენოთ. იგივე გლეხკაცია თქვენი მექისე, თუ მექისეობა ეთქმის ნელ-თბილი და ფრიად ჭუჭყიანი წყლის გადავლებას, რომ შებისკნილი ტალახი ჩამოირეცხოთ. გუბე მეტად სქელია. შიგ ჩასვლისას კანზე სქლად გეკვრით ტალახი. შიგ ამოვლებული ადამიანი ბრინჯაოს სტატუას ემზგავსება. გუბე, როგორც ვსთქვით, გარეგნულად რაღაც უბრალო და ლაფის პატარა უბეს წარმოადგენს, მაგრამ ჰლირს შეხვიდეთ, რო ფეხი ვერ ჩაუწვდინოთ. მაგრამ ეს არც ისე რიგადაა საჭირო. ნაპირიდან შესცურდებით. ნუ გეშინიანთ, თუ ცურაობა არ იცით: სულ ერთია, ლაფი არ ჩაგიშვებთ, ისე აგიტივტივებთ და ბევრიც რო მოისურვოთ, ვერ ჩაიძირებით. საამური რამ არის ტივტივი და ამავე დროს მზის ვანის მიღება. თქვენ ჰგრძნობთ ერთგვარ სიამეს, არ გინდათ ამ ლაფს თავი გაანებოთ, გსურთ, რაც შეიძლება ხანგრძლივ დარჩეთ, განსაკუთრებით იმ ადგილას, სადაც შადრევანი მოსდუღს. მხოლოდ ამ ადგილასაა ცოტა ცივი. დანარჩენ ადგილს ამ მასსას ადვილად ათბობს მზე. ამიტომაა, რომ ერთსა და იმავე გუბეში სხვა და სხვა მხრით სულ სხვა და სხვა ტემპერატურაა, კიდეც თბილა და კიდეც ცივა. თქვენს გემოზე შეგიძლიანთ ადგილი იცვალოთ.

თქმა არ უნდა, ამ გუბეს ტყვილად არ ექნებოდა იმდენად შორს გაგდებული სახელი, რო თვით ფინლიანდიიდანაც კი სწვევიან ავადმყოფნი და დიდი კმაყოფილიც დაბრუნებულან. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ეს ძვირფასი სიმდიდრე ჯერაც ხელუხლებელია, სრულიად უყურადღებოდაა მიტოვებული, დღესაც, ვიმეორებ, როდესაც რკინის გზამ საშუალება მოგვცა ამ ადგილისთვის თავისი ღირებულება მიგვეჩინა. უეჭველია ფრანგი, ანუ გერმანელი ამ ადგილს ეროვნულ სიმდიდრის წყაროდ გარდაჰქმნიდა და მილიონებით დაიწყებდა ლაპარაკს, ჩვენ კი ვერ მოგვიხმარნია იგი, ვსტირით, ვლონობთ, არაფერი გვაბადია, ღატაკნი ვართ, ბეჩავნიო. სიღატაკისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მეორე კი მართალია: ჩვენისთანა ბეჩავნი ერთიც არ უნდა იყოს დედამიწის ზურგზე. განა ეს ადგილი ამ ყოფაში უნდა იყოს?! მერე რა მშვენიერი მდებარეობა აქვს! ვისაც რაიმე კურორტის გახსნა ჰსურს, მოვიდეს ამ ადგილს, დასტკბეს ბუნების სიდიადით, ჯანსაღი ჰაერის სიწმინდით და ამავე დროს მიიღოს აბანო ამ შესანიშნავი შადრევნიდან. ეს, თუ გნებავთ, ჩვენი მომავალი ნიცაა, ასე მოხერხებული ადგილი განსაკუთრებით დღეს, როდესაც რკინის გზაც მოუფენს, ჩვენ გვიკარნახებს მოქმედებას, გაბედულ ნაბიჯის გადადგმას. მაგრამ, რა, ვინ ქართველი და ვინ გამბედაობა, რისკი! როგორც გავიგე, ამ უთვალავ სიმდიდრეს მისი პატრონები აბაშიძე-ანდრონიკაშვილები ჰყიდიანო. და, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, თუ რას ნიშნავს ჩვენში მამულის გაყიდვა. რა ფასშიაც დაგვეკარგა ბაქო-ბალახანა, რა ფასშიაც განიავებულ იქნა ორბელიანთა, მელიქიშვილთა და ძმათა მათთა მთელი რიგი სამთავრონი და სიმდიდრენი, იმავე ჩალის ფასში დაიღუპება ეს უკვდავება სიმდიდრის წყარო და ჩვეულებრივ მალე მოვა ის დრო, როდესაც ჩვენით გამდიდრებულ მილიონერებს შორიდან დავუწყებთ ცქერას და შევეხვეწებით ლუკმაპურისთვის გვიქირაოს. ეს ისეთი აქსიომაა, რასაც კომენტარიები არ სჭირია...

(შემდეგი იქნება)

**დ. კასრაძე.**

## წვრილი ამბები

**ვილჰელმის დახასიათება.**

„გოლოს რუსი“ სწერს:

„რაც ომიანობა დაიწყო, ყველა ჩვენი გაზეთები უფრო ხშირად და უფრო მეტს, რასაკვირველია, იმპერატორ ვილჰელმზე სწერდნენ. ვინ იცის რა არ მიაწერეს, როგორ არ დაახასიათეს. მხოლოდ ყველაზე უფრო მაინც იმასა სწამებდენ, რომ განდიდების მანიით არის შეპყრობილი და ეს სენი აქვს მორეული—სიგიჟემდის მიჰყავსო. ამ ჟამად კი „უტრო როსიი“ სულ სხვაგვარ ახასიათებს იმპერატორს:

„ვილჰელმის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის წარმოადგენს შუათანა გერმანელს, მხოლოდ მეტის მეტად განდიდებულს კი.

ეგ პირველი გერმანელია გერმანიისა. დახედეთ რა ზედ-მიწევნილი, წმინდა გერმანული მომზადება აქვს „საქმისადმი“, როგორ წინდაწინვე აწონილ-დაწონილი აქვს ყოველივე წვრილმანი. როგორი პირდაპირ გერმანული რწმენა აქვს „კულტურულ[illegible]ქრიერებისა.

აბა [illegible] გერმანიამ რომ რუსეთს ომი გამოუცხადა, სიგიჟე სულაც არ იყო. რა თქმა უნდა ამ საქმეს თან ახლდა რისკი, მაგრამ აბა რომელი მოსაგები საქმეა ისეთი ურისკოდ კეთდებოდეს? მაინცა და მაინც რისკის შესანელებლად ყოველივე ზომები იყო მიღებული: ფინანსიური მხარე გამაგრებული, საოცარნი მეომარნი და უმთავრესად ერთსულოვნობა და სრული თანხმობა საქმეში მონაწილეთა.

ერთის სიტყვით, რაც შეიძლება გაკეთებულიყო, გაკეთდა და სხვაზე კი ღმერთი იზრუნებსო.

**სახელმწიფო შემოსავალ-გასავალი.**

რუსეთის ფინანსთა სამინისტროს ცნობით 1915 წ. შემოსული ჩვეულებრივი შემოსავალი 214 712.000 მანეთი, ე. ი. 97.647,000 მანეთით ნაკლები ვიდრე 1914 წელს, არაჩვეულებრივი შემოსავალი უდრის 164 მილიონს, ე. ი. 271 მილიონ მანეთით ნაკლები ვიდრე გასული წლის იანვარს.

**გერმანელი ქალები.**

გერმანელი ქალები სამრეწველო ყველა დარგში ამ ომიანობის დროს დიდს მონაწილეობას იღებენ.

მაგრამ უფრო საგულისხმოა ქალების მუშაობა ქარხნებში. ომიანობის გამო მუშა ხელი შემცირდა, მოთხოვნილება კი ამ ჟამად გაიზარდა, ამიტომ გერმანიაში ქალები ამზადებენ საომარ მასალას.

გერმანული გაზეთები საინტერესო ცნობებს იძლევიან. 40 პროცენტი იმ ქარხანაში, სადაც ასაფეთქებელ მასალას ამზადებენ, ქალები ყოფილან. 15 პროცენტი მთელის მომუშავეებისა, სადაც უნაგირებს და აღვირ-გარსაკრებს აკეთებენ, ქალები ყოფილან. 50 პროცენტი კარავების მომუშავე ქალებია. 38 პროცენტი ფარმაცევტი. 15 პროცენტი საქირურგო მასალაზე მომუშავე და 20 პროცენტი—საოპტიკოსაზე. გაცილებით მეტი ქალი მუშაობს იმ ქარხანაში, სადაც ჯარისთვის კონსერვებს ამზადებენ—თითქმის 75 პროცენტი; ხოლო იმ ქარხანაში, სადაც ჯარისკაცისთვის სამოსს ამზადებენ—70 პროცენტი.

---

როცა შენს ბაგეს აღბეჭდილია რისხვა და ბრაზი!
ო, ეგ ცრემლებიც შავს თვალებზე რარიგ გიხდება!
(სიჩუმის შემდეგ.
მოჰყე ჩემს კვალსა!

**ივერიკო.** (გაშეშებული სდგას).

**ლომარამინდი.** მოჰყე-მეთქი!

**ივერიკო.** (მკაცრად). ფეხს არ მოვიცვლი!

**ლომარაინდი.** როგორ? სჯიუტობ? სითამამე კვლავ შეგრჩენია?
გამომყე-მეთქი!

**ივერიკო.** რა გსურს ჩემგან?

**ლომარაინდი.** მონა ხარ ჩემი!
ბატონს ვინ ჰკითხავს, თუ მას რა ჰსურს, ანუ რა ჰნებავს?

**ივერიკო.** ჩემი ბატონი არცა ხარ და არცა იქნები!
მე შენს ბრძანებას არ ვასრულებ თავით ცოცხალი,
სხვაფრივ ნება გაქვს მომკლა!

**ლომარაინდი.** როგორ? შენ მოგკლა?
არ მოგკლავ, მაგრამ შენს ამაყს სულს დავიმორჩილებ!
თუ არ დაჰყვები ჩემს სურვილსა, კვლავ ბევრს განანებ.
მაგ შენის თვალით გამზერინებ უბედურობას,
ბოლოს კი მაინც ავისრულებ ჩემს სურვილ-წადილს!

**ივერიკო.** (აღელვებული, მსწრაფლ ლაპარაკით)
მტარვალო! განა ამ გულს კიდევ სხვა რაღას ავნებ!
რაღა არსებობს უარესი უბედურება,
რომ ჩემსა გულსა მით ატკინო—ო, შე გულქვაო,
ერი ამიკელ, დამინგრიე ჩემი სამსხვერპლო,
ჩემი გვირგვინი შეურაცხყავ—სხვა რაღა დამრჩა,
ის გამომტაცო და ეს გული კვალად მატკინო?
**მე შემრჩა მხოლოდ ერთი სული დაუპყრობელი**
**და ვერც დაიპყრობ, კვლავ დარჩება თავისუფალი!**

**ლომარაინდი.** უკეთეს გვირგვინს განგიმზადებ, სხვა ტახტს დაგიდგამ,
უფრო ძვირფასსა და მოჭედილს ძვირფასის თვლებით.
ოღონდ ნუ ურჩობ, დამყე ნებას!

**ივერიკო.** (ზიზღით) იყავ წყეული!

**ლომარაინდი.** (ვეზირს მკაცრად. ცივად).
ჰეი, ვეზირო! ამ ორ რაინდს: კახოს, იმეროს
თავნი დაჰკვეთე და მოართვი ამ თამამ ასულს!
გაეც ბრძანება, ჩემმა ჯარმა ტყვენი მოსწყვიტოს
და ყოველს სოფელს ცეცხლი მისცეს— —
(ისმის ამალის ქვითინი).

**ივერიკო.** (იმ დროს, როცა კახო და იმერო მოჰყავთ დასასჯელად).
ო, ნუ ინებებ!

**ლომარაინდი.** წაიყვანეთ!

**ივერიკო.** (წინ გადაეღობება. ხელგაშლილი მუდარით).
უხმოდ შენს სურვილს ვმორჩილდები! გამიძეხ, სად გსურს,
თან წამოგყვები, მაჩუქა კი მათი სიცოცხლე!
(ისმის კვლავ ქვითინი).

**ლომარაინდი.** (სიჩუმის შემდეგ) მიჩუქებია!
(ივერიკო რამდენსამე ჯარისკაცს, როგორც ტყვე, მიჰყავს. გავლისას ივერიკო ქართლოს წინ შესდგება და საყვედურით დიდხანს უმზერს, შემდეგ კახოს და იმეროს გადაავლებს თვალს, პირზე ხელებს მიიფარებს და ქვითინით გადის).

**XI ქართლო, ლომარაინდი, ვეზირი და სარდალი.**

**ქართლო.** (გახეტებულ-განცვიფრებულ-გაბრაზებული).
ჩვენი პირობა?

**ლომარაინდი.** რა პირობა?

**ქართლო.** როგორ? უარს ჰყოფ?
ჩემი მიჯნური რა უფლებით მიგყავს ტყვედ თანა?
განა ეგ იყო დაპირება?... გამეც პასუხი!

**ლომარაინდი.** (ღიმილით ცბიერად)
თუ მაგ პირობას გულისხმობდი, ჩემო ერთგულო,
ეს ჩემი ზრუნვა მაშ რა არის?—შენთვის ვმოქმედობ
და ტყვედაც სწორედ შენთვის მიმყავს ჩემს სასახლეში,
რომ თავისუფლად დასტკბე მისის მშვენიერებით,
მე კი ორივეს გიდარაჯოთ, რომ შენმა ძმებმა
კვლავ არ გაჰბედონ ბოროტება შენს წინააღმდეგ.
(დარაჯებს).
ჰეი, დარაჯნო! (ქართლოზე უთითებს).
. . . . . მოეპყარით მეფურ პატივით
და თან ეახლეთ,— —ვით შეჰფერის ჩემსა ერთგულსა!
(დარაჯები ქართლოს ირგვლივ შემოერტყმიან)
აი, ერთგულო! ამ პატივით მოგეპყრობიან
და უკეთესი ჯილდო სწორედ არცა არსებობს!
ჩემს რჩეულ მცველებს აწ შენა გძღვნი მუდმივ მხლებლებად,
რათა მეფურად მიგაცილონ ჩემს სასახლემდის
და იქ გარდმოგცე საყვარელი შენი მიჯნური.—
(ქართლო გადის, უკან მცველები მისდევენ).

**XII ლომა და ვეზირი.**

ჩემო ვეზირო! (წინ წამოვლენ) მაგ ქართლოზე გეჭიროთ თვალი!
**ეგ აღარ არის ოღეის შემდეგ ჩემთვის საჭირო**
და ამას ვამცნობ, როცა უფრო მაგრა ჩავიჭერ.
ყველაზე მეტად აწ საშიში ჩემთვის ეგ არის,
მაგან თავის ძმებს უღალატა და მე დამინდობს? —
(სარდალს)
ჩემო სარდალო! შენ აქ რჩები ამ ქვეყნის გამგედ!
იმ ტყვეთა შორის უვარგისნი გამოარჩიე,
ხოლო ჯანსაღნი და ბრძოლაში გამოსადეგნი
გადმოასახლე ჩემს უდაბურ და მწირ ადგილზე,
რომ ააყვავონ ჩემი მხარე, ჰყონ ნაყოფიერ!
იგი ასულნიც გამოჩენილ გმირთ დაურიგე,
უთხარ: საჩუქრად მიმიძღვნია ერთგულობისთვის!
და ვინც აქ დარჩეს, ჩემი ღმერთი მათ ალოცვინეთ!
და თუ გაკერპდა ვინმე მათში, თავი წარკვეთეთ!
სრული უფლება გენიჭება ამ ქვეყნის მმართველს
და უკეთესად როგორც ჰხადო, ისე მოიქეც!
მოისპოს სიტყვა ივერია, ჩემი დაერქვას!

**ფარდა**

(შემდეგი იქნება)

# პრესა

„დენის“ კორესპონდენტს უნახავს იუსტიციის ახალი მინისტრი ა. ა. ხვოსტოვი. საუბრის დროს კორესპონდენტს უკითხავს:

— ნება მიბოძეთ გავიგო თქვენი შეხედულობა ეროვნულ საკითხის შესახებ.

ხვოსტოვს უპასუხნია:

— უნდა იცოდეთ, რომ მე რუსი ვარ და მემარჯვენე. ეროვნულ საკითხის შესახებ მე ძველს ჩემს პოზიციას ვადგევარ. ჩემი მიმართულება იციან და ის მიმართულება უცვლელად დარჩება.

კორესპონდენტს შეუნიშნავს, რომ ამ ბოლო დროს ნაციონალურ პოლიტიკაში მთავრობაც და საზოგადოების ერთი ნაწილიც სხვა გზას დაადგა, ძველი შეხედულობა ომის გავლენით თითქოს შეიცვალაო.

— დიახ, ერთი ნაწილი...მე კი ვფიქრობ, როდესაც ომი გათავდება, დამოკიდებულება შეერთებულ პოლონეთთან ძალაუნებურად შეიცვლება. რაც შეეხება ეროვნულსა კითხს, მე ძველს აზრს ვადგევარ. ეროვნული თავისუფლება იმდენად მრწამს, რამდენადაც ეს რუსეთის მთლიანობას, არ დაარღვევს და სახელმწიფო ინტერესებს არ ავნებს.

ეს უკვე საანბანო ჭეშმარიტებაა, რომ სულ უბრალო უფლებანი მცირე ერებისა მემარჯვენეთა რწმენით „სახელმწიფო ინტერესებს ავნებს და რუსეთის მთლიანობას არღვევს“. ახალი მინისტრი კი აცხადებს, მემარჯვენე ვარო, დანარჩენი ცხადია.

# ეპისკოპოსი ნიკონის წერილი

სახელმწიფო სათათბიროს წევრი ეპისკოპოსი ნიკონი. ამ ჟამად საშუალებას მოკლებულია სათათბიროში დეპუტატის მოვალეობა აასრულოს. სამაგიეროდ იგი „რეჩში“ ჰბეჭდავს წერილს საზოგადოებისა და დეპუტატების მიმართ. იგი აღნიშნავს ხალხის სრულს უვიცობას. ხალხმა არ იცის თუ რა ხდება დღესაო. ეპისკოპოსი ნიკონი ეკამათება იმ პირებს, რომელნიც ამტკიცებენ, რომ გერმანიას და ავსტრიას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა ვებრძოლოთ, ვიდრე სრულიად არ შევმუსრავთო.

იგი ამბობს: „განა ყველას ესმის უდიდესი მნიშვნელობა დღევანდელ მსოფლიო ომისა?

განა რუსეთში ყველას შეუგნია ის აზრი, რომ კვლავ განვაგრძოთ ომი ბოლომდის, ვიდრე გამარჯვებულნი არ გამოვალთ?

ბატონებო! ვინც კი ამ ზაფხულს სოფლად დაჰყო, ვისაც კი გლეხებთან უსაუბრნია, იგი დამშვიდებულის სვინდისით ამ საკითხზე ვერ გიპასუხებთ. მე ბევრი მისაუბრნია გლეხებთან და შიშსა და ძრწოლას ავუტანივარ, ბევრი უგნურება და უწრთვნელობაა მათში. არაფერი გაეგებათ. ვეკითხებოდი: ნუ თუ, ძმანო, თქვენში არ არის ან მოძღვარი, ან სოფლის მწერალი, ან მემამულე, საერობო უფროსი, ან მასწავლებელნი, რომ რამე აეხსნათ და გაეგებინებინათ დღევანდელი ამბები? სოფლად დადის დაუჯერებელი ჭორები ამ ომის თაობაზე. საიდან იგებენ ამ ამბები, გლეხებმა თვითონაც არ იციან. მიზეზი ამისა მათი უწვრთვნელობა და გაუნათლებლობაა. რუსის ხალხს არ აბადია განათლება, რაც გერმანელს ძლიერებას ანიჭებს. იქნებ გგონიათ ვითომ გერმანელებს ძლიერება კრუპის ქარხანამ მისცა? სრულიადაც არა! ყველა გერმანელი არა თუ წერა-კითხვის მცოდნეა, არამედ ყველა განსწავლულია. აი რით არიან ისინი ძლიერნი (ამას დაფარვა არ სჭირდება. ჩვენ, ბატონებო, მთელს რუსეთში უნდა დავაარსოთ აუარებელი სკოლა, ბიბლიოთეკა, სახალხო სახლები, ეკლესიები და სხვა განმანათლებელი დაწესებულებანი. ამის გარდა არ უნდა შევურაცხყოფდეთ არც ერთს სხვა უცხო ერს, რომელნიც კი რუსეთის საზღვრებში სცხოვრობენ.

აქ უნდა სრულს მოთმინებას ვიჩენდეთ და ამის სამაგიეროდ მათგან მივიღებთ ერთგულებას და პატივისცემას. თუ ასეთს დიდს საქმის გასაკეთებლად მაგალითი გვჭირდება, ინგლისმა მოგვცა. ყველას მოეხსენება, თუ ინგლისი თავის კოლონიებს რა რიგად ეპყრობა და ასეთ მოპყრობამ რა ნაყოფი გამოიღო. რუსსა თუ არარუსს, უცხო ერს უნდა მივსცეთ საშუალება საკუთარ თავის გაცნობისა.

დაე ყველამ თავისებურად ილაპარაკოს არა მარტო თავის სახლში, არამედ გარედაც. მაშინ ყველანი შეგვეჩვევიან და ყველანი კეთილად ვიცხოვრებთ. ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! უეჭველია ზოგიერთები მიკიჟინებენ. მაგრამ მე რაც აქ ვსთქვი, იმასვე გავიმეორებდი სახელმწიფო სათათბიროში. არა რომელიმე ფრაქციის, არცა მემარჯვენეთა სახელით, არამედ ვიტყოდი ამას ჩემთავად (მე უპარტიო გახლავართ და პურიშკევიჩებს და მარკოვებს მე არასოდეს არ დავეთანხმები). მე ამას განურჩევლად პარტიის სხვადასხვაობისა სათათბიროს ყველა წევრების საგულისხმოდ ვამბობ.

# ახალი ამბავი

**იურიდიული დახმარება.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უნდოდა რამდენიმე ვექილი გაეგზავნა თბილისიდან ბათომში აჭარლების საქმის გასაცნობად, მაგრამ გამოირკვა, რომ თბილისიდან ვისიმე გაგზავნა ჯერ-ჯერობით ზედმეტია, რადგან საქმის შესასწავლად ადგილობრივი ვექილებიც საკმაოდ არიან. ხოლო საქმის გარჩევის დროს განზრახულია თბილისიდან რამდენიმე გამოცდილი იურისტი გაგზავნონ და აგრეთვე რუსეთიდანაც დაიბარონ 1—2 გამოჩენილი ვექილი.

**შიმშილობა აჭარაში.** როგორც მცოდნე კაცი იუწყება, აჭარაში (შავშეთის გამოკლებით) საჭიროა 30 ათასი ფუთი სიმინდი. შავშეთში კი, განსაკუთრებით არდანუჯის რაიონში,

ყოველდღე იხოცება რამოდენიმე კაცი შიმშილით. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილება გაურიგდა კავკაველ მემამულეს, ვინმე სობიევს, რომელმაც იკისრა ფუთი სიმინდის ჩაბარება ბათომში 94 კაპ. განყოფილებამ ჯერ-ჯერობით შეუკვეთა მას 5.000 ფუთი სიმინდი და ვაგონებიც მიუცია მისთვის როსტოვის კომიტეტს. ეს პარტია სიმინდისა ჩქარა მივა ბათომში, მაგრამ 5,000 ფუთი ვის გასწვდება.

**კრება.** სამშაბათს, 14 ივლისს, საღამოს 8 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა № 6) უნდა შესდგეს მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის“ დამფუძნებელი წევრთა კრება. კრების საგანია: 1) მოხსენება დროებით გამგეობისა თავის მოქმედების შესახებ, 2) მორიგი საკითხები, 3) ახალი წევრების მიღება, 4) გამგეობისა და სარევიზიო კომისიის არჩევა.

**ქალაქის სასკოლო კომისიის კრება** იქნება ამ დღეებში მოწვეული საქალაქო პირველდაწყებითი სკოლების ახალ მასწავლებელთა და მათ კანდიდატების ასარჩევად.

**ყაჩაღებთან შეტაკება.** სოფელ მელაანში (სიღნაღის მაზრა) ყაჩაღებს თავს დასცემიან საერობო დარაჯები. ერთი ყაჩაღი, „ხოხობა“-დ წოდებული, მოუკლავთ და ორი დაუჭრიათ. დარაჯების მხრივ ერთია დაჭრილი.

**სოფელ ანაგის** (სიღნაღის მაზრა) უფასო სამკითხველო სამუდამოდ დაიხურა.

**მუხრანის ლიანდაგის განახლება.** ტრამვაით პირდაპირი მიმოსვლა მუხრანის ქუჩით ავლაბარში შეჩერებული იყო, რადგან მუხრანის ქუჩის კუთხეში სახლის ჩამოქცევის ეშინოდათ. ეხლა ხსენებული სახლი შეკეთებულია და ავლაბარში პირდაპირი მიმოსვლა მუხრანის ქუჩით უკვე განახლდა.

**შავ სახადთან ბრძოლა.** კავკასიის ქალაქთა ბიუროს თავმჯდომარემ 3.000 მანეთი გაგზავნა ქალაქ ვანს შავ სახადთან საბრძოლველად. ამდენივე ფული იქნა გაგზავნილი ბაიაზეთს იმავე სენთან საბრძოლველად.

**საბაღოსნო სკოლის ნაწარმოების გასაღება.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას აზრად აქვს თბილისის საბაღოსნო სკოლის ბაღის ნაყოფი თბილისის მომხმარებელ კოოპერატივებს მიაწოდოს გასასყიდლად. სანამ ეს უკანასკნელები მოქმედებას დაიწყებენ თბილისში, ხსენებული საზოგადოება აპირებს ბაღის ნაყოფი საზოგადოების შენობასთან გადმოიტანოს და პირდაპირ მომხმარებლებს მიჰყიდოს.

**სანოვაგე.** 10 ივლისს მოტანილია თბილისში: ფქვილი 9 ვაგონი, ხორბალი 1 ვ., სიმინდი 2 ვ., შაქარი 1 ვ., მარილი 3 ვ., ქერი 2 ვ., ბზე 1 ვ., შეშა 20 ვაგონი, ქვის ნახშირი 3 ვ., ნავთი 8 ვ., ღვინო 1 ვ., მადნეული წყალი 1 ვაგონი, აგური 1 ვ., კირი 3 ვ., ბრინჯი 113 ფ. სპიჩკა 500 ფუთი, კარტოფილი 450 ფ., კომბოსტო 580 ფ., ბადრიჯანი 237 ფ., ყველი 246 ფ., მხალი 424 ფ., ახალი თევზი 332 ფ., სპირტი 504 ფუთი.

**ომში დაჭრილი და მოკლული ქართველები.** **დაჭრილ** არიან: პრაპორშჩიკი კონდრატე დიმიტრის ძე **მარლანია**. კაპიტანი გიორგი ივანეს ძე **გურგენიძე**. პორუჩიკი გიორგი ელიზბარის ძე თავადი **მაჩაბელი**.

**დაჯილდოება.** უმაღლესად დაჯილდოებულ იქნენ: მეოთხე ხარისხის წმ. ვლადიმირის ჯვრით: **გოგნიაშვილი** (ამხვილით და ბანტით), თ-დი **ანდრონიკაშვილი** და **მუხაძე** მესამე ხარისხის სისხლის ჯვრით: **ჩიმაკაძე** (მახვილით და ბანტით), **ინდუაშვილი**, **გურგენიძე** და **გამრეკელიძე**.

მეოთხე ხარისხის სისხლის ჯვრით: (ზედ წარწერით „სიმამაცისათვის“): **გაჩეჩილაძე**, **გოძიაშვილი**, **ავალიშვილი**, და გ. **ახმეტელაშვილი**, მესამე ხარისხის წმ. სტანისლავის ჯვრით: (მახვილით და ბანტით), თ-დი **ხიდირბეგიშვილი**, ნიკო **გეგეჭკორი**, მ. **არჯევანიძე** და **მარუაშვილი**.

მეოთხე ხარისხის წმ. ვლადიმერით (მახვილით და ბანტით) ალექსანდრე **გაბაშვილი**.

მესამე ხარისხის წმ. ანნით (მახვილით და ბანტით) ანდრო **დადიანი** და მიხეილ **მაჭავარიანი**.

**აჭარაში.**

გაზ. „კავკაზ“-ს ბათომიდან ატყობინებენ: ბათომის სამეურნეო საზოგადოებამ შემდეგი დეპეშა გაუგზავნა სამიწადმოქმედო დეპარტამენტის დირექტორს: „ბათომის მრავალ კუთხიდან, ხალხის გახიზვნის გამო, ყველა საუკეთესო ბაღები—ფორთოხლისა, ზეთისხილისა, ვენახებისა და მრავალი სხვა—უპატრონოდ დარჩა და მომვლელი არავინა ჰყავს, რის გამო ბაღებს გაფუჭება მოელის.

თათბირის შემდეგ სამეურნეო საზოგადოებამ გადასწყვიტა დახმარება აღმოუჩინოს უპატრონოდ დარჩენილ ბაღებს და გადაარჩინოს განადგურებისგან სანამ პატრონები თავიანთ სახლ-კარს არ დაუბრუნდებიან.

— ბათომის სამეურნეო საზოგადოებამ თხოვნით მიმართა ქუთაისის გუბერნატორს, რათა მან დახმარება აღმოუჩინოს ხალხის გახიზვნის შემდეგ დარჩენილ ბაღების და პლანტაციების შენახვას, და ამისათვის გაგზავნოს ბათომში ერთი თვით სამი ინსტრუქტორი საოლქო აგრონომის დასახმარებლად.

# შვეცია

ომის გარეშე დარჩენილი ევროპის პატარა სახელმწიფოთა მდგომარეობა რთულია და ორჭოფული. თითეული მათგანი ერიდება უდროო დროს არ მიეკედლოს რომელიმე მებრძოლს და არ გაისრისოს, ვით კოზაკი აქლემთა შორის. მეორეს მხრით, იმედების პერსპექტივა დიდია და ფართე. ისტორიულად ყოველი პატარა ერი დასჯილია და აბა რა გასაკვირალია, რომ ისეთ ისტორიულ მომენტში, როგორიც ეხლა დგას და რომელიც, ვინ იცის, როგორ არ შესცვლის ევროპის აწინდელ რუქას, კანონიერი სურვილი ეღვიძებათ დაკარგულის დაბრუნების შესახებ და ეროვნული იდეალების ტრფიალი იშვიათის სიმტკიცითა და სიცხოვლით იქნებოდეს ბედ-გამწყრალ ერის გულში. ამისთვის არც ახალ მსხვერპლის გაღებას დაერიდება და არც ახალ უბედურების ატანას, ცოტა იმედი რომ ჰქონდეს იმ მხარის გამარჯვებისა, რომელსაც მიემხრობა. დიაგნოზი მეტად ძნელი გამოსაცნობია, გარემოება ისე სწრაფად სცვლის ერთი მეორეს. ხოლო გულსუბუქად ბედთან გათამაშება კი, ვისაც ბედისგან კარგი არაფერი ახსოვს, სახიფათოდ უნდა ჩაითვალოს და ამიტომაც პატარა სახელმწიფონი მოქმედებაში გაბედულებას ვეღარ იჩენენ. ერთი მიმდინარეობა აქტიური გამოსვლის მომხრეა, მეორე კიდევ ნეიტრალობის დაცვისა და ამ ორ მიმართულების შორის არის მესამეც, მრყევი, გამოურკვეველი, რომელიც ხან ერთის მხარეზეა და ხან მეორისა. ამ მიმდინარეობათა შერიგაგათიშვით წარმოიშობის სწორედ ეს ორჭოფული სახე, რომელიც ახასიათებს პატარა სახელმწიფოთა პოლიტიკას. შვეციაც მწვავედ განიცდის ამ ჟამად ამ პსიხოლოგიურ მომენტის სიძნელეს, გორდიის კვანძი ვერ დადაუჭრია..

აქ ცოცხალია იმპერიალიზმის სული, რომელსაც შვეციის წარსულის დიდებაში აქვს ფესვები გადგმული და მომავალ აღორძინების იმედით საზრდოობს. შვეციაში ამ იმპერიალისტურ მიმდინარეობის წარმომადგენლები არიან ეგრედ წოდებული ახალგაზდა კონსერვატორები, რომელთაც ბელადობს ცნობილი სვენ-გედინი, პროფესორი ჩელენიერნე და სხვანი. ახალგაზდა კონსერვატორების მთავარი ორგანო „Nya Daqliqt Allehanda„, რომელიც მკაცრად და გაბედულად ილაშქრებს ყოველს მარჯვე შემთხვევაში ინგლისისა და რუსეთის წინააღმდეგ, სისტემატიურად ოპოზიციაში უდგას შვეციის სამინისტროს, რომელიც მთელს სისავსით არ იზიარებს იმპერიალისტების აქტიურ პოლიტიკას და უფრო ნეიტრალობის დაგვარ მომხრედ გამოდის. ახალგაზდა კონსერვატორების პოლიტიკის დამცველია აგრეთვე ჟურნალი „Det Nya Sverqe“. ეს ჟურნალი გმობს მთავრობის საქციელს, რომელიც ვაჭრულ ანგარებას გაუტაცნია და რთულ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხის გადაჭრას ცდილობს იურისტებისა და წვრილფეხა საქმის კაცების ხერხით. ჟურნალის აზრით, პასიური ნეიტრალობა შვეციის ეკონომიურ ინტერესსაც ვერ დაიცავს, რადგანაც შვეციის ცდას, რომ ყველას დაუმეგობრდეს ,მოჰყვა ის მდგომარეობა, რომ შვეციას არავინ ანგარიშს არ უწევს.

ასეთი პოლიტიკის ნაცვლად, ჟურნალის აზრით, შვეციამ უნდა წამოაყენოს „აქტიური ნეიტრალობის“ პრინციპი. მაშინ გერმანიაც მეტის პატივით დააფასებს შვეციის მეგობრობას,ინგლისიც მორიდებით მოეპყრობა და შვეციის ხალხი მოგებულიც დარჩებაო. აქტიურ პოლიტიკასა და გერმანოფილობას იცავს ეხლახან გამოცემული წიგნი—კრებული, რომლის ავტორთა შორის ურევია ისტორიკოსებიც, იურისტებიც, ეკონომისტები და მხედრები. ამ წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც მიმართულია შვედელ ახალგაზრდობისადმი, ნათქვამია: დადგა ჟამი გარდაწყვეტილებისა. შვეციამ უნდა გამოარკვიოს თავისი პოზიცია. უნდა კარგად უწყოდეს ჩვენმა ქვეყანამ, რომ მისი ადგილი გერმანიის გვერდითაა“.

ხ. ი—ა.

# ბათომის არჩევნების გამო*)

(ეკონომიური კრიზისი და ქალაქის მართველობის ზომები)

II

წინა წერილში მოკლედ აღვნიშნეთ იმ პატარა ჯგუფის მოღვაწეობა, რომელიც ქართველობის წინააღმდეგ ქალაქის მართველობაში თავის მომხრეების გაყვანას სცდილობდა. ამ ჯგუფის არასაზოგადოებრივ ღირებულებასა და მნიშვნელობას მით უფრო ცხადჰყოფს ბათომის ახლო წარსულისა და ეხლანდელ მდგომარეობის შედარება, და ამასთან ზოგადად აღნუსხვა ქალაქის მართველობის ეკონომიური მოღვაწეობისა წარსულში.

ბათომი სავაჭრო ქალაქია. სწორედ ამიტომ აქცევდა მის შემოერთებისა და მოწესრიგების საკითხს მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას. 38 წლის განმავლობაში, დღიდან შემოერთებისა, ბათომი იზრდებოდა კულტურულად და ეკონომიურადაც. ეკონომიური ზრდის თვალსაჩინო ფაქტორად უნდა ჩაითვალოს როდშილდისა და მანთაშევის ნავთის დამწმენდი ქარხნები ბათომში. ნავთის დაწმენდასთან დაკავშირებულია სხვა მრავალი სამრეწველო დარგების გაჩენა, მაგალითად—ყუთების წარმოება (ящичное производство) და სხვ... უკანასკნელ დარგის გაჩენამ გამოიწვია ხეტყის ექსპლოატაციის გაძლიერება ბათომის ახლო მიდამოებში. გარდა ამისა, ბაქოდან ნავთის წარმოების სხვა პროდუქტებიც მოჰქონდათ, ასე რომ ბათომი შავი ზღვის პირას თვალსაჩინო სავაჭრო ქალაქი გახდა. იგი გარდაიქცა ცენტრად ამიერ კავკასიის ექსპორტისა და იმპორტისა. არავის ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ მომავალი ბათომს დიდ სააღებმიცემო როლს დააკისრებდა შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მით უმეტეს, რომ ბათომის სავაჭრო ნავთსადგურად გამოცხადების დროს მეზობლად სხვა თვალსაჩინო ნავთსადგური არ არსებობდა. ასეთ იმედს ამყარებდნენ ბათომზე და სწორედ ასეთ იმედების ხანაში მოუსწრო მას 1905 წლის მოძრაობის ტალღამ. ბათომის ნავთის წარმოებამ ვერ გაუძლო [illegible] ქარბებულ ეკონომიურ [illegible], როდშილდ-მანთაშევმა მიატოვეს ბათომი და შორეულ ეგვიპტეში გადაიტანეს თავიანთი წარმოება. ეს დრო დიდის წყევლა-კრულვით იხსენიება დღეს ბათომის კომერსანტების მიერ, რომლებსაც დაეკარგათ 14,000 მომხმარებელი მუშა, რომელნიც ბათომიდან გავიდნენ. ვინ აღადგენდა წარსულ დიდებას, ვისღა შეეძლო ბათომის ეკონომიური კრიზისის საშინელ ბრჭყალებისაგან ხსნა?..

დადგა ხანა უიმედობისა და უსასოებისა. ბათომის ეკონომიური განვითარება შესდგა. ამის შემდეგ იწყება სხვა და სხვა პროექტების თხზვა და მთელი წყება აღძრულ შუამდგომლობათა. ზოგმა ბათომის ეკონომიური განვითარება ოცნებადაც კი გამოაცხადა, თუმცა ოპტიმისტები სულ წინააღმდეგს ამტკიცებდნენ. თავ. ანდრონიკაშვილს წილად ხვდა ქალაქის ასეთ დაცემულ მდგომარეობის დროს შესდგომოდა მოურავობის მძიმე მოვალეობის აღსრულებას. იმ თავითვე მისი თაოსნობით აღიძრა შუამდგომლობა ბათომში გატარებულ ყოველგვარ საქონელზე ბაჟის დაწესებისა, თუმცა ერთ დროს ბათომი პორტოფრანკოდაც იყო აღიარებული მთავრობის მიერ. რასაკვირველია, ასეთი ზომა სასარგებლო იყო ქალაქის კასისათვის, ის რამდენადმე დააკმაყოფილებდა ქალაქის საჭიროებას, რასაც ამავე დროს ერთად-ერთ მხსნელ იმედად სთვლიდნენ ნავთის ქარხნების დაკეტვის შემდეგ ქალაქის გამოსაბრუნებლად და მის ეკონომიურად წინ წასაწევად. მაგრამ ბათომის გამობრუნება და წინანდელ ეკონომიურ ფერხულში ჩაბმა არც თუ ისე ადვილი იყო, ვინაიდან კრიზისის მიზეზად ასახელებდნენ არა მარტო ნავთის ქარხნების დაკეტვას. შეიძლება წინად არც კი ფიქრობდნენ მეზობელ ფოთის ცილობაზე, მაგრამ დღეს ეს ცილობა უცილობელი ფაქტია. საქართველოს უდიდესი წარმოება, ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა თავის ნაწარმოებთა გადატან-გადმოტანის საქმეში დღეს მთლად ფოთის ნავთსადგურს ემყარება. ეს არც ისე მცირე მნიშვნელობის მოვლენაა, რომ მას ანგარიში არ გაეწიოს. ამიტომ საჭირო იყო ან ბაქოს გაუწმენდელ ნავთის გაწმენდის განახლება ბათომში, ან კიდევ ისეთი მსხვილი მრეწველობის შექმნა სადმე მახლობლად, რომ აღედგინა დაცემული ეკონომიური მდგომარეობა ბათომისა. ასეთი რამ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ძანსულის და მურღულის სპილენძის მაღაროებს *), ჯერ-ჯერობით არ გაჩენილა და ამიტომ ბათომელების ერთად-ერთ ხსნად და იმედად თითქო საფუთო გადასახადის შემოღება გახდა. რვა წელიწადი უცდიდა ბათომი ამ კანონ-პროექტის განხორციელებას. რვა წლის იმედი, ცდა, მოლოდინი... როგორც იყო, 1913 წელს ეშველა ამ კანონ-პროექტს. თავ. ანდრონიკაშვილის პროექტმა გაიმარჯვა. ხმოსნებიც მილოცვის დეპეშებს გზავნიდნენ პეტროგრადში. ქალაქის მოსამსახურეები სიხარულით ხომ ფეხზე აღარ იდგნენ. ქალაქს წლიურად 175000 მანეთის შემოსავალი ემატებოდა ათი წლის განმავლობაში.

დაიკეტა მანთაშევისა და როდშილდის ქარხნები, ქალაქს მოაკლდა 14,000 მუშა ხელი, ქალაქი დაღარიბდა, გამეფდა ეკონომიური კრიზისი, რის შემდეგ ადგილობრივმა მრეწველობამ და ადგილობრივმა კაპიტალმა ვერ შესძლო ქალაქის საჭიროებათა დაკმაყოფილება. რასაკვირველია, ქალაქის მამები ვაჭარმრეწველთა კლასს არ წამოადგენენ, ისინი არ არიან მოწოდებულნი რომელიმე სამრეწველო-ფინანსიურ კომბინაციების საწარმოებლად, მაგრამ ისინი გვერდს ვერ აუქცევდნენ ისეთს მრავალმნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა რკინის გზებისა თუ გზატკეცილების გაყვანა, რომლებიც განმარტოვებულ, სოფლის ბაზას მოწყვეტილ ბათომს დაუკავშირებდა ართვინ-ყარს-არდანუჯის და აჭარის ხეობის მდიდარ და ჯერ კიდევ გამოუყენებელ ოლქებსა. ჩვენ არას ვიტყვით იმ სამხედრო გზაზე, რომელიც ძველად არსებობდა ბათომ-ჩაქვა-ქობულეთ-ოზურგეთ შუა და რომელიც ამავე დროს გურულებისა და აჭარლების ერთმანეთში მიმოსვლას ძლიერ უწყობდა ხელს. ბათომის ქალაქის ინტერესს შეად-

*) იხ. „საქართველო“ № 32.

*) ამ მაღაროთა მნიშვნელობა ბათომის ეკონომიურ ცხოვრებაში არც ისე დიდია, როგორც პირველ შეხედვით გვეგონება
დ. ა.—ძე.

გინდა აგრეთვე გურიის რკინის გზის გაყვანა, ვინაიდან თუ ოზურგეთის მაზრაში გინდ აჭარის ხეობაში რაიმე საექსპლოატაციო რამ გაჩნდება, იმის მეორე გზის ექსპლოატაცია—სარგებლობა ბათომს, როგორც სავაჭრო სანავთსადგურო ქალაქს, ხომ არ ასცდება. განსაკუთრებით ოზურგეთის მაზრა თავის გეოგრაფიულ მდებარეობით დაკავშირებულია ბათომთან, რაც იმითაც აშკარა ხდება, რომ დათხოვნილ 14,000 მუშის ორ მესამედს გურულები შეადგენდნენ. გურიის ბათომთან კავშირი იმდენად მჭიდრო და ბუნებრივია, რომ ერთ დროს, და მას შემდეგ არც ისე დიდი ხანი გასულა,—ადმინისტრატიულ წრეებში ფიქრობდნენ ოზურგეთის მაზრის ქუთაისის გუბერნიიდან გამოყოფასა და ბათომის ოლქში გადარიცხვას. განსაკუთრებით უნდა ეზრუნა ბათომის ქალაქის მართველობას ბათომ-ყარსის რკინის გზის გაყვანის თაობაზე, ვინაიდან სხვა მზრუნველი და საერობო ფუნქციების შემსრულებელი საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულებანი, გარდა ქალაქის მართველობათა, ჯერ-ჯერობით ჩვენ არ მოგვეპოვება. ბათომ-ყარსის რკინის გზის გაყვანის საკითხი მართლა აღიძრა, მაგრამ იმდენად მკრთალი იყო ეს ახმაურება, რომ საკითხი დაინტერესებულ ინჟინერთა წრეს არ გასცილებია. ქალაქის მართველობის გაბედული ჩარევა ამ საქმეში, სათანადო უწყების წინაშე შუამდგომლობის აღძვრა და მით საქმის დაუყოვნებლივ განხორციელების გზაზე დაყენებისათვის ხელის შეწყობა,—აი რა ჰმართებდა ბათომის ქალაქის მართველობას, მაგრამ ეს, როგორც ვიცით, არ მომხდარა. რა იყო მიზეზი ქალაქის, ასე ვსთქვათ, საგარეო ეკონომიური პოლიტიკის დუნედ წარმოებისა?

როგორც ზემოდაც მოვიხსენიეთ, ბათომმა განიცადა საშინელი ეკონომიური კრიზისი ნავთის ქარხნების დაკეტვისა გამო. მას შემდეგ არ იქნა და ქალაქის მდგომარეობა ვერ გაუმჯობესდა. ქალაქის გამგეობა კი მისდევდა ცხოვრების განვითარებას ფეხდაფეხ, აწესებდა ახალ შტატებს, აუმჯობესებდა არსებულ სამეურნეო განყოფილებათ, როგორც მაგ., საელექტრონო სადგურს, საავადმყოფოს, წყალსადენს, აშრობდა ჭაობებს, რომლებიც ბათომში ბევრია, ჰკირწყლავდა ქუჩებს, აგებინებდა ქუჩების განაპირას ფილაქნებს, ამშვენიერებდა ბალ-ბულვარს, ქუჩებს, ერთი სიტყვით, ქალაქის შინაგან მოსაწყობ და მოსაწესრიგებელ საქმეებში ბათომის ქალაქის მართველობამ გასულ 1911—15 საარჩევნო წლების განმავლობაში დიდი შემოქმედებითი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, იმდენად დიდი, რომ მრავალი სხვა აუცილებელი საშური საკითხი მივიწყებულ-მიჩრდილული რჩებოდა. გართულებული ცხოვრების მიმდინარეობისათვის ყურისგდება მოითხოვს დიდ ნივთიერ სახსარს, რაც ქალაქს არ მოეპოვებოდა. ბათომს ვალი აქვს. მოსამსახურეთა გაძლიერებულ შტატს ესაჭიროება ჯამაგირები, უზრუნველყოფა. მთავრობის დახმარება აუცილებელი იყო, უიმისოდ საქმეს არა ეშველებოდა რა. მაგრამ ამ შემთხვევაში უმჯობესი იქნებოდა პირდაპირ თხოვნა და შუამდგომლობის აღძვრა, რომ მთავრობას ეპატიებია ხაზინის ვალი—რამდენიმე ასი ათასი მანეთი, ვინემ რვა წლის განმავლობაში იმ იმედით კვებვა მოქალაქეთა, რომ საცაა დაწესდება საფუთო გადასახადი და მაშინ ქალაქის ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. საბოლოო ანგარიშით საფუთო გადასახადისა იმაზე გაცილებით მეტს მაინც ვერ მისცემდა ქალაქს, რასაც ამ უშველებელი ვალის ერთბაშად პატიება შესძენდა მას. მართალია, სარგებლობაც დარჩებოდა ბათომს საფუთო გადასახადისაგან, მაგრამ სამაგიეროდ მთელი ქალაქის ყურადღება, აზრი და მოლოდინი რვა წლის განმავლობაში პეტროგრადისკენ არ იქნებოდა მიპყრობილი და ადგილობრივ მეტს თაოსნობასა და თვითშემოქმედებას გამოიჩენდნენ საკუთარი ცხოვრების საკუთარივე საშუალებებით მოგვარების საქმეში.

როგორც ვხედავთ, ბათომის ქალაქის მართველობას ეკონომიური ხასიათის მოღვაწეობაში საკრიტიკო ბევრი რამ მოეპოვებოდა წარსულში, მაგრამ, როგორც ვიცით, ამ მხრით საკითხს ადგილობრივი პრესა ერთხელაც არ შეჰხებია და საფუთო გადასახადის შემოღების მაშტაბით ზომავდნენ ქალაქის მართველობის საკეთილო თუ საზიანო მოღვაწეობას. ბ-ნ გერმანის გაზეთი „ბატუმსკია ვესტი" მხოლოდ ზერელე კრიტიკას აწარმოებდა და არც ერთი მის მიერ დაჭერილი პოზიცია სწორი არ გამომდგარა. ყოველგან და ყოველთვის მას გაბოროტების ქაფი და ღვარძლიანობის გესლი გადმოსდიოდა ენიდგან. საფუთო გადასახადის შემოღება მან მიულოცა მოქალაქეთ, მხოლოდ იერიში მიიტანა თავ. ანდრონიკაშვილის წინააღმდეგ მისთვის გასამრჯელოს თუ საგზაო ფულების მიცემისა გამო. მან მიზანში ამოიღო ქართველობა, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ დამარცხდა, ვინაიდან მისი ჯგუფი წარმავალ, უსისტემო არა მკვიდრ ელემენტს შეიცავს. საზოგადოებრივი კრიტიკის ამაღლება და ობიექტიური მიუდგომელი მსჯელობა საქალაქო საქმეებზე „ბატუმსკია ვესტი"-მ ვერ შესძლო. მას დაეკარგა ნდობა და პატივისცემა ადგილობრივ მკვიდრთა უმრავლესობისა. „ბატუმსკია ვესტის" გვერდით დაარსებულ „ბატუმსკი დენ"-ის რედაქციას უნდა ეკისრნა ასეთი მიუდგომელი საღი კრიტიკის წარმოება, მაგრამ საამისოდ მას გამბედაობა და იერი დაუკარგა იმ გარემოებამ, რომ ის თავისებურ გარემოებათა გამო ლამის ქალაქის გამგეობის ორგანოდ გადაიქცეს. ერთი სიტყვით, ბათომში მიუდგომელი, საღი კრიტიკის გამწევი ბეჭდვითი ორგანო ჯერ კიდევ არ არსებობს, ხოლო არსებულთაგან „ბატუმსკია ვესტი"-მ დაჰკარგა ნდობა ადგილობრივ მკვიდრთა დიდი უმრავლესობისა. უკანასკნელი გარემოებით უნდა ისარგებლოს „ბატუმსკი დენ"-მა და გადაიქცეს დამოუკიდებელ გაზეთად, რომელსაც ამდენ ხანს კიდევ ეპატიებოდა ქალაქის მართველობის მოსარჩლეობა, ხოლო ამის შემდეგ შექმნილი მდგომარეობა საამისო საჭიროებას აღარ მოითხოვს.

დ. არონიშიძე.

## ჩვენი ცხოვრება

დ. ყვირილა.—ლექცია.

პარასკევს, 3 ივლისს, ადგილობრივ კლუბის დარბაზში სამსონ ფირცხალავამ ლექცია წაიკითხა—აჭარელთა სასარგებლოდ შემდეგ თემაზე: „სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი". აუდიტორია სავსე იყო ხალხით. ლექცია ორ ნაწილად განიყოფოდა.

პირველ ნაწილში ლექტორმა დაასურათა დღევანდელი მდგომარეობა დარბეულ აჭარისა, რომელიც უწინ შეადგენდა ნაწილს დიდ მესხეთისას. ლექტორმა ასწერა გეოგრაფიული საზღვრები და ნაწილები მესხეთისა: ახალციხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ჭანეთი. მისი ისტორიული ნაშთები: ოპოზა, ტბეთი, შატბერდი, ხარზმა, საფარა, ბანა, იშხანი, პარხალი და სხვ. შემდეგ ლექტორი შეეხო მესხეთის პოლიტიკურ და კულტურულ მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში. მესხეთი—„აკვანი" მშვენიერებისა,—ყოველმხრივი აყვავების ცენტრი იყო მთელი საქართველოსიო—ამბობდა ლექტორი.—დაკუწმაწებული, დანგრეული, დანაწილებული საქართველო რამდენიმე ნაწილად მეათე-მეთორმეტე საუკუნემდე კვლავ შეერთდა. პირველად ბაგრატ მესამემ ქართლს მესხეთი შეუერთა, დარჩა შეუერთებელი კოლხეთი და კახეთი. დავით აღმაშენებელმა და თამარ დიდმა ეს ნაწილებიც შეიერთეს და ამ მხრივ მოხდა ეს დიდი საქმე—გაერთიანება მთელი საქართველოსი. ამის შემდეგ აღარ არსებობდა ის შური, ის მეტოქობა, ქიშპი, ის მტრობა საქართველოს კუთხეთა შორის, თავიანთ მეფემთავრებით,—რომელიც ასე ასუსტებდა საერთო სამშობლოს. დანაწილებულ საქართველოს მოჰყვა გაერთიანება, გაერთიანებას ყოველმხრივი გაძლიერება-აყვავება ფიზიკური, ქონებრივი და გონებრივი. თამარის დროს უმაღლეს წერტილამდე მიაღწია ქართველი ერის პოლიტიკურმა და კულტურულმა ძლიერებამ. გაძლიერდა მეურნეობა, ვაჭრობა-მრეწველობა, მყვავდა ქართული ენა, მწერლობა, პოეზია და ყოველგვარი ხელოვნება. თამართან ერთად წარმოიშვა დიდებული შოთა, გამოჩენილი მწერლები—სარგის თმოგველი, მოსე ხონელი, შავთელი, ჩახრუხა. მოიხვეჭა სახელი ფილოსოფოსმა და რიტორმა პეტრიწმა, განვითარდა და გაიშალა მეცნიერება. თამარის დრო ბრწყინვალე ხანაა ჩვენი ლიტერატურის განვითარებისა. ამ დროის ლიტერატურა და კულტურა წარმოადგენს ნაციონალური გენიოსობის ქმნილებას. აი ასეთი სულიერი და გონებრივი გაძლიერება მოჰყვა საქართველოს გაერთიანებას, შეერთებას.

პირველად მესხეთში ჩაინერგა განათლება, კულტურა და აქედან ყოველმხრივ იფინებოდა. აქ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა წინად მაშინდელ სასულიერო წოდებას. ბერი და მღვდელი მედგარი მცველი იყო ეკლესიისა და სამშობლოსი. სასულიერო პირი—მონასტრის ზღუდეში გამოკეტილი(?) — დევგილი მწერალი იყო: სთარგმნიდა ბერძნულიდან ყოველგვარ საქრისტიანო წიგნებს, სწვრთნიდა ახალთაობას სამშობლო ერის და ღვთისმეტყველების ცოდნაში. საკმარისია ვახსენოთ ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელი,—ყველანი მესხეთიდინა იყვნენ. იგივე მესხეთი სამშობლო იყო შოთასი. მესხეთის კულტურის ძალას მოწმობენ აგრეთვე ყველა კიდევ დარჩენილნი ხელუხლებელნი და თუ გინდ დანგრეულნი, დამწვარნი, მხოლოდ წარუშლელი ძველი დიდების ნაშთნი ეკლესია-მონასტრებისა. მესხეთი ეს ოაზისია იმ უდაბნოში, სადაც ყოველივე ხარობს, იფურჩქნება და საითკენაც ყოველივე მიილტვის, მიჰხარის. მესხეთი ხიდი იყო გასასვლელი ახალი სარწმუნოებისა, ახალი აზროვნებისა. აქ პირველად ვრცელდებოდა ყოველივე და შემდგომ ყოველმხრივ ეფინებოდა. ქრისტიანობამ პირველად ფესვი აქ მოიდგა და პირველადვე ინაცვლებს ფეხს მაჰმადის რჯული. მესხეთი საზღვარი იყო იმ დაუძინებელ საქართველოს მტრისა—ოსმალეთისა,—რომელიც ხშირად აწიოკებდა, ანადგურებდა ტურფა საქართველოს. პირველად მათ მესხები ეგებებოდნენ, ხვდებოდნენ წინ და მედგრად ებრძოდნენ ძლევამოსილ მტერს. მაგრამ „ძალა აღმართსა ხნავს", ნათქვამია; მათაც ასე მოუვიდათ. მესხებმა ვერ გაუძლეს აურაცხელ მტრის მახვილს და შეიქნენ მსხვერპლნი ოსმალეთისა—პირველად 1626 წელს საფარ ფაშამ გაანადგურა მესხეთი და მრავალი მესხი გაამაჰმადიანა. მას შემდეგ ჩაიშალა ის ხიდი, ის კავშირი სამშობლოს ნაწილთა შორის.

ბევრს მათგანს მამა-პაპათა სარწმუნოებაც წართმეული ჰქონდათ, ხოლო მტერმა ვერ შესძლო წართმევა ენისა, ზნე-ჩვეულებისა, გონება-აზროვნებისა და ეროვნულ შეგნებისა. ყოველივე ეს შერჩა მათ, მხოლოდ ხანგრძლივი მუშაობა, ერთის მხრივ ოსმალეთის პოლიტიკისა, თანდათან უნერგავდნენ მათ შეგნებას მესხელთა ოსმალობისას. მაკედონიაში, ეხლანდელ ბულგარეთში, სერბიაში და საბერძნეთის ნაწილში ოსმალეთი, როგორც აქ, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდა თვის რჯულს, სარწმუნოებას. მაჰმადიანობამ იქაც მოიკიდა ფეხი, იქაც გამწვავდა(?) — გამწყდარიყო ის ძაფი, ერთი სამშობლოს შვილთა—ქრისტიან და მაჰმადიან ბულგართა და სერბთა შორის. ბალკანეთის ომამდე ეს ორი ნაწილი, სარწმუნოებით სხვანი, დაუძინებელი მტერი იყო ერთმანეთისა. მხოლოდ ომმა, ბალკანეთის ომმა შეაერთა სარწმუნოებით დაშორებული თანამემამულენი და აგრძნობინა, რომ ის მაჰმადიანი ბულგარელი, ან სერბი, იგივე ძმაა, მკვიდრი ძმაა ქრისტიან ბულგარელისა, სერბისა. და მართლაც ორთავენი შეერთდნენ ერთად, კვლავ შესისხლხორცდნენ და საერთო მტრებს, ოსმალებს, თავზარი დასცეს და თავი გაინთავისუფლეს.

პროგრამის მეორე ნაწილი შეეხებოდა ერეკლე მეფის ცდას მესხეთის დაპყრობა—დაბრუნებისას. 1828 წლის ომის შემდეგ ახალციხის და ახალქალაქის მაზრების შეერთება. 1877—78 წლების ომი. ბათომის და ყარსის მაჰმადიანი ქართველების შემოერთება. პირველი წლები შემოერთების შემდეგ, ქართული ენა სამაჰმადიანო საქართველოში მე-19 საუკ. შემოდის და მე-20 დასაწყისში. აუცილებელი საჭიროება ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების დაახლოვებისა, სკოლების გახსნა, ქართული ენის გავრცელება.

სამაჰმადიანო საქართველოში—ქართული ენა დაცულია ოჯახში, გარედ კი დევნილია. შინ, ოჯახში შენახულა ზნენი და ჩვეულებანი ქართველებისა. პირწმინდად ქართული ენა უფრო შენახულა ქალთა შორის. მაჰმადიანი ქართველი ვაჟი, გინდ ქალი თავის მაჰმადს—ქართულად—„გურჯულად" ემსახურებიან, ევედრებიან... თავიანთ თავს კი, საუბედუროთ მრავალნი თურქად, თათრად სთვლიან. ქართული ენის დევნას ხელს უწყობენ ოსმალეთიდან მოსული მოლები უნერგავენ მესხებს აზრს, ვითომ ისინი ტომით ოსმალები, თათრები ყოფილიყვნენ და არა „გურჯი" გურჯისტანიდანაო. ამას მოჰყვა მაგალითები: 1908 წელს—წ. კ. გ. ს. თხოვნით მიუმართია, რომ საზოგადოებას დაერთოს ნება ქართული სკოლის გახსნისა ქობულეთში. ამას, რა თქმა უნდა, მკაცრი უარი მოჰყვა, თუმცა ამას თვით მცხოვრებლები მაჰმადიანი ქართველები მოითხოვდნენო.

ნუ მივაქცევთ ყურადღებას რჯულს, სარწმუნოებას—დეე, ვის როგორც სურდეს, ისე ილოცოს თვის შემოქმედიო—მხოლოდ საჭიროა შეერთება, სულით, გულით და კულტურითაო"—დააბოლავა ლექტორმა. ხალხმა მხურვალე, ხანგრძლივი ტაშის ცემით დააჯილდოვა ლექტორი.

დ. წეველი.

—

ქ. ბათომი. ერთი შეხედვით გეგონებათ, ქალაქ ბათომში, როგორც უმეტესად ქართველობით დასახლებულ ქალაქში, ყოველივე ქართველური—უკეთ უნდა მიდიოდეს, მაგრამ - სამწუხაროდ—ეს ასე არ არის. პირიქით, არსად ისე აბუჩად აგდებული არ არის ქართველთა საქმე, როგორც აქ. ავიღოთ თუნდ გაზეთის საქმე. აქაური ქართველობა ორ რუსულ გაზეთს ასაზრდოვებს, მაშინ როდესაც ერთი ქართული გაზეთიც არ არის. ამ ერთი წლის წინად გამოდიოდა „ბათომის გაზეთი", რომლის რედაქტორი გახლდათ იშვიათი ენერგიის ადამიანი სპ. ჭელიძე, რომელიც ძლივს სულს უდგამდა თავის ორგანოს საზოგადოების დაუხმარებლივ. ერთ და იმავე დროს ის იყო რედაქტორიც, კორექტორიც, ასოთამწყობიც და თვით გაზეთის დამტარებელიც. რამდენჯერ გვინახავს იგი გაზეთებით იღლიაში: ხან ერთ მედუქნე—მიკიტანს მიუჩეჩავდა ხან მეორეს, და თითო ნომერს ძალით აჩეჩებდა ხოლმე. ამ გაზეთმა რამდენს გამოუფხიზლა გონება და დედა ენაც შეაყვარა. აჭარლებისათვის ხომ დაუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდა „ბათომის გაზეთის" (იხილე ამის შესახებ „თეატრი და ცხოვრება" მე-26 ნომერი ჰაიდარბეგ აბაშიძის წერილი: „რამ შემაყვარა მე ქართული ენა?). აი ამისთანა სასარგებლო ორგანოს არა ჰყავდა მაშინ ამოდენა ქართველ ინტელიგენტთა შორის მხარის დამჭერი. ომის გამოცხადების წინად გუბერნატორმა ერთი ქართველი ვერ იშოვა, რომ ცენზორობა დაეკისრებინა, რის გამო იძულებული იყო დაეკეტა გაზეთი. ჭელიძესაც აეკრძალა ბათომში ცხოვრება, და ვერვინ იშოვნა ეს საქმე ჩაებარებინა...

ერთი თვეა რაც ქართული დასის მსახიობი ჯ—ლი სცდილობდა შესაფერი ნებართვის აღებას წარმოდგენების გასამართავად ბათომში. უნდა დაედგა „უმუშევარნი". დაუშალეს, „ეგ არ შეიძლებაო", შემდეგ სხვა წარუდგინა. ძლივს ძლივობით ნება დართეს, მაგრამ ახლა „პროპუსკი" უნდოდა, რომ ბათომში ჩამოეყვანა ქუთაისიდან მსახიობები. ამის ნება არ დართეს. იმავე დროს მალოროსიულ გაიდამაკინის, თითქმის ასი მსახიობისაგან შემდგარ დასს ნება დართეს 25 წარმოდგენის გამართვისა. არავინ არ იწუხებს თავს, არც თვითმართველობიდან და არც სხვა გავლენიანი პირები კისრულობენ ქართველთა საქმის გამოსარჩლებას.

ტრ. ი—ძე.

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**

### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| ელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

### ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 ბათომიდან. | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| ჯულფიდან. | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 ბათომისკენ | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**
25—33

**წ ი გ ნ ი ს  მ ა ღ ა ზ ი ა**

**„ახალი სიტყვა" („НОВАЯ РѢЧЬ").**

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნი; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.
(წ.—21)

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეზველოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ძვით**", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სწრაფ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოლაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.